# შირაქი

SHIRAKI

გამოდის 1937 წლიდან

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის გაზეთი

№25-26 (9.886)

20 - 27 ივლისი 2019 წელი

ფასი: 50 თეთრი

ყოველკვირეული გამოცემა


## ქრონიკულად დაავადებული მოწყვლადი ჯგუფის წევრები მედიკამენტებს 1 ლარად შეიძენენ

გვ. 7

## ცეცხლთან თამაში აკრძალულია, ბატონებო!



გვ.2

## ეთიკისა და ეპატაჟის ზღვარზე

გვ. 5




## „დედა ენა“ სკოლებში ბრუნდება

გვ. 3




## გამარჯვების სკოლის რეაბილიტაცია დასრულდა

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის მერმა ნიკოლოზ ჯანიაშვილმა საგანმანათლებლო რესურსცენტრის ხელმძღვანელთან, ეთერ დავითაშვილთან ერთად სოფელ გამარჯვების საჯარო სკოლაში დასრულებული სარეაბილიტაციო სამუშაოები დაათვალიერა.

პროექტის ფარგლებში განხორციელდა სკოლის სრული რეაბილიტაცია -მოეწყო და თანამედროვე, უახლესი აპარატურით აღიჭურვა საკლასო ოთახები, სპორტული და სააქტო დარბაზები და ლაბორატორიები.

სოფელ გამარჯვების სკოლის რეაბილიტაცია აშშ-ის ათასწლეულის გამოწვევის კორპორაციის (Millennium Challenge Corporation – MCC) მიერ საქართველოს მთავრობისა და დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ხელისუფლების აქტიური მხარდაჭერით განხორცილდა.



## არტ-გენი 2019“ დასრულდა...




გვ. 4

C M Y K

# ცეცხლთან თამაში აკრძალულია, ბატონებო!

## ...როცა ცეცხლი სტიქიაა ადამიანის ხელში

საუკუნეების წინ, როცა საქართველოში მტერი ხმლითა და მახვილით შემოდიოდა, ქვეყნის მოსახლეობაზე შურის საძიებლად, სახლებთან ერთად, ტყეებსაც წვავდა. ამ ფორმით ის ცოცხლადგადარჩენილ ადამიანებს სათბობისა და „მწვანე ფილტვების" გარეშე ტოვებდა. დღეს ქართველ ხალხს ამაში სხვისი „დახმარება" აღარ სჭირდება. ალოობის შემდეგ, ორი დღეა, შირაქის ველი ხანძარმა მოიცვა. ფერმერების წინდაუხედავ საქციელს ქარსაფარი ზოლი ეწირება, ზოლი, რომლის ნაწილიც გერმანიის მთავრობის დაფინანსებით აღდგა.

*„ჯერ კიდევ გუშინ შირაქი ულამაზეს ოქროსფერში იყო გახვეული, დღეს კი ჩვენი ,,სანაქებო ფერმერების" წყალობით ის შავი მტვერით იფარება, ქარსაფრები კვლავ იწვება, ახლადდაპრესილი ტუკებიც აფეთქებული ტანკებივით ბოლავენ. გულგახეთქილი მივადექი ჩემ გაშენებულ ქარსაფარებს, სამწუხაროდ, ერთ-ერთი ყველაზე კარგად გახარებული მონაკვეთი პირწმინდად დამწვარი დამხვდა. სახანძროები უთავბოლოდ დარბიან, აღარ იციან რომელი მიმართულებით წავიდნენ, რამდენიმე შეწუხებული კაცი მიყვება, რომ გადაუწვეს დაპრესილი ტუკები. სადღაც ტრაქტორი და სათესებიც დამწვარა. მზესუმზირის ყანის მეპატრონეებზე აღარაფეს ვამბობ, ისეთი გავარვარებულია ჰაერი, რომ ისედაც ფოთლებშემხმარ მზესუმზირებს, თავებიც კი გადატრუსული აქვთ. არ მესმის ასე ფეხებზე როგორ უნდა დაიკიდო ყველაფერი* შენს გარშემო. ადამიანები არ ხართ?"- წერს ვაშლოვანის დაცული ტერიტორიების მეგობართა ასოციაციის გამგეობის თავმჯდომარე ამირან კოდიაშვილი ფეისბუქის პირად გვერდზე.

დედოფლისწყაროში, შირაქის ველზე, ბოლო რამდენიმე წლის განმავლობაში გაჩენილი მასშტაბური ხანძრების გამო ქარსაფარი ზოლების თითქმის 90 % განადგურებულია. ხანძრები ზოგ შემთხვევაში გვალვის დროს ჩნდება, თუმცა, უმეტესწილად ამის მიზეზი ადგილობრივი ფერმერები არიან, რომლებიც ქერისა და ხორბლის მოსავლის აღების შემდეგ მიწის ნაკვეთებს ნარჩენებისგან გასუფთავების მიზნით წვავენ, შემდეგ კი მასშტაბურ ცეცხლს ვეღარ აკონტროლებენ. შედეგად ნადგურდება ბოლო წლებში გაშენებული ქარსაფარი ზოლები. დედოფლისწყაროში ქარსაფარ ზოლებს გერმანიის ტექნიკური თანამშრომლობის საზოგადოება აშენებს. ამ ორგანიზაციის წარმომადგენელი ამირან კოდიაშვილი ამბობს, რომ ფერმერების დაუდევრობამ დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტში გაუდაბნოების პროცესი კიდევ უფრო გაამწვავა:

***„მოსახლეობა და ფერმერები, სამწუხაროდ, არამარტო ნიადაგს წვავენ, ამ ქმედებით ქარსაფარ ზოლსაც ანადგურებენ, რადგან ყანაში გაჩენილ ცეცხლს ვერ აკავებენ და გადადის ქარსაფარ ზონაში. ქარსაფრების თითქმის 90 % დაიწვა 2015 წელს. საბჭოთა პერიოდში დედოფლისწყაროში ქარსაფრების მთლიანი სიგრძე დაახლოებით 1800 კილომეტრს შეადგენდა, ხოლო 2015-ში დარჩენილი იყო მხოლოდ 75 კილომეტრი".***

გერმანიის ტექნიკური თანამშრომლობის საზოგადოების წარმომადგენელი და ექსპერტი ამირან კოდიაშვილი შირაქში, მიწის ნაკვეთებში, გასუფთავების მიზნით გაჩენილი ხანძრების კიდევ ერთ უარყოფით და გამანადგურებელ შედეგზე ლაპარაკობს. მისი თქმით, გრძელვადიან პერიოდში მიწა მოუსავლიანი ხდება და საბოლოოდ დაზარალებული თავად ფერმერი დარჩება. ამირან კოდიაშვილს იმედი აქვს, რომ სახელმწიფო ამ პროცესს საკანონმდებლო დონეზე დაარეგულირებს.

***„სამწუხაროდ, საყანეების გადაწვას კვლავ აგრძელებს მოსახლეობის დიდი ნაწილი. თუ ადრე 36 ათასი გადაიწვა, შეიძლება ახლა 29 ათასია, მაგრამ ეს მაინც ძალიან დიდი მასშტაბი და პრობლემაა. ჩვენ იმედი გვაქვს, რომ მთავრობა კანონს მიიღებს, რომელიც თუ არ აკრძალავს, ყოველ შემთხვევაში, მართვადს მაინც გახდის პროცესს, რომელიც ამჟამად, ფაქტიურად, უმართავად მიმდინარეობს".***

ამირან კოდიაშვილს გაზეთი „შირაქი" დაუკავშირდა. როგორც მან ჩვენთან საუბარში განაცხადა, ამ წუთას მთელი შირაქის საძოვრების 10%, 4-5 ათასი ჰექტარი მაინც იწვება.

**„გამოვიარე და დავინახე, რომ კაცს ჰქონდა დაწყობილი პრესები, თან ისეთი დიდი პრესებია, არც მინახავს ასეთი, ეტყობა უცხოური ტექნიკა ჰყავთ ჩამოტანილი. ძალიან აქტიურად ხდება დაპრესა, რაც მისასალმებელია, მაგრამ იმ კაცმა იწვალა, იშრომა, ვიღაცამ კიდევ მოუკიდა ცეცხლი და მისი შრომა ჩაიწვა. საერთოდაც კარგია, რომ ეს ნამჯა გაზიდონ აქედან, მაგ შემთხვევაში გადაწვა უფრო ნაკლებ ზიანს აყენებს ნიადაგს. როცა ჩალა ყრია შიგნით, ცეცხლი და ტემპერატურაც მაღალია, შესაბამისად, ნიადაგი მეტად ნადგურდება. მაგრამ ესეთი ადამიანი მანდ რომ იშრომებს და დაუწვავენ, მეორედ მოვა და რამეს გააკეთებს, რა თქმა უნდა არა."**

19 ივლისს, გაზეთი „შირაქი" ამირან კოდიაშვილთან ერთად გავიდა ველზე იმ ტერიტორიის სანახავად, რომელიც წინა დღით გადაიწვა და რომელსაც გახარებული ფიჭვის ნერგების ნაწილი ემსხვერპლა. თუმცა, სანამ დანიშნულების ადგილს მივაღწევდით, ხანძრების ეპიცენტრში აღმოვჩნდით. მართალია, სახანძრო სამსახური ოპერატიულად მოვიდა, მაგრამ ხანძრების მასშტაბური ხასიათის გამო, მუშაობა მათთვის განსაკუთრებით ძნელი და მძიმეა.

ამირან კოდიაშვილის თქმით, რადგან ხანძარი დიდ ტერიტორიაზეა,მეხანძრეებს ლოკალიზება უჭირთ.

**„საჭიროა, ფერმერმა საკუთარი ნაკვეთი შემოხნას, რაც ხანძარს გავრცელების საშუალებას არ მისცემს, ეს იმას არ ნიშნავს, რომ საერთოდ არ გადაიწვება ქარსაფარი ზოლი და მიმდებარე ტერიტორია, მაგრამ ეს ზარალს შეამცირებს. სახანძროსაც ექნება საშუალება, უფრო ადვილად მივიდეს ხანძრის ადგილას. მეხანძრეები გმირულად კი იბძრვიან მაგრამ რა აზრი აქვს. ეს იგივეა, კასრს რომ ძირი არ აქვს და შიგ წყალს ასხამ."**

ამირან კოდიაშვილი ყველა ფერმერს, ვინც ნაკვეთის გადაწვას აპირებს, მოუწოდებს, შემოხნას თავისი ტერიტორია და გადაწვის ბოლომდე დარჩეს, რათა გააკონტროლოს ცეცხლი და ქარსაფარში ან



**სხვა ნაკვეთში გადასვლის შემთხვევაში, გამოიძახოს სახანძრო".**

ბოლო წლების განმავლობაში დედოფლისწყაროში, შირაქის ველზე, დაიწვა როგორც ძველი ქარსაფრები, ასევე ახლად გაშენებული ნარგავები, რამაც, სპეციალისტების თქმით, გარემოს უკვე მიაყენა სერიოზული ზიანი. გერმანიის ტექნიკური თანამშრომლობის საზოგადოების წარმომადგენლები ამბობენ, რომ მიუხედავად მოსახლეობის დაუდევრობისა, ქარსაფარი ზოლების გაშენება არ შეჩერდება, პარალელურად გაგრძელდება საინფორმაციო კამპანია, ცნობიერების ასამაღლებლად.

ამირან კოდიაშვილი კიდევ ერთი ინიციატივით გამოდის:

სახელმწიფომ მიიღოს მარტივი კანონი ნაკვეთების გადაწვასთან დაკავშირებით.

***„ვფიქრობ, ახლა სანამ ჯერ კიდევ მთელი შირაქი არ გადამწვარა, უნდა იქნას მარტივი კანონი მიღებული. თუ იწვის ქარსაფარი, ფერმერს არ აქვს შემოხნული ნაკვეთი და მისი ტერიტორიაც იწვება, ანუ პროცესი მიდის, იმ ადამიანმა პოტენციური დანაშაული ჩაიდინა. გასაგებია, რომ მას არ მოუკიდებია ცეცხლი, მაგრამ მან რომ არ შემოხნა, მასთან გადავიდა ვიღაცისგან და მისგან ქარსაფარში. რეალურად ხდება ხანძრის ასეთი სტიქიური გავრცელება და შესაბამისი სამსახურები ვერაფერს ვეღარ აკეთებენ. თუნდაც ეს ტერიტორია იყოს სახელმწიფოსი, მან უნდა აიღოს ვალდებულება, რომ შემოხნას, თუ არადა, დაჯარიმდეს სახელმწიფო და მან გადაიხადოს ჯარიმა თავის თავთან. ჩვენ სად უნდა ვეძებოთ, ვინ მოუკიდა ცეცხლი, ამას არ უნდა პოვნა. თუ შენ შექმენი პოტენციურად ქარსაფარების განადგურების საფრთხე, უნდა დაჯარიმდე. შეიძლება ნებისმიერმა მოუკიდოს ცეცხლი თუნდაც ჯერ სხვის ნაკვეთს, რომ მერე თავისთანაც გადავიდეს, ამიტომ ამის ადმინისტრირება შეუძლებელია სხვანაირად, მიწას უნდა მიებას. მიწა შენია, არ უვლი, პოტენციურად ქმნი საფრთხეს?! - უნდა დაისაჯო, პირველად უნდა დაჯარიმდე, მეორედ ჩამოგერთვას ნაკვეთი. სხვანაირად ამ საქმეს არ ეშველება."*** - განაცხადა ვაშლოვანის დაცული ტერიტორიების მეგობართა ასოციაციის გამგეობის თავმჯდომარემ ამირან კოდიაშვილმა.

მისივე თქმით, კონკრეტულად კანონი ქარსაფრების შესახებ მომზადებულია, 4 წელია ამაზე მიდის საუბარი და სავარაუდოდ, წელს მიიღებენ, მაგრამ ეს კონკრეტული ინიციატივა, ცეცხლის პრევენციას ეხება.

**-"ქარსაფრების კანონი არ ეხება ცეცხლის მოკიდებას. ის ეხება, რომ ქარსაფარი თუ ვინმემ გადაწვა, იმაზე იქნება პასუხისმგებლობა, მაგრამ როგორ უნდა დაადგინო, ვის დააკისრო პასუხისმგებლობა, მე ამ ინიციატივას ვაწვდი შესაბამის სამსახურს. მე არ მინდა ამას მიეცეს პოლიტიკური სახე, ეს რასაც პოლიტიკური სახე აქვს, ყველაფერი მახინჯდება და ხდება სპეკულირება. ეს არ არის პოლიტიკური საკითხი, ეს არის კონკრეტული სამეურნეო საკითხი, რომელიც აუცილებლად უნდა გადაწყდეს."**



როდესაც პრომეთემ ცეცხლი ღმერთებს მოპარა და დედამიწაზე ჩამოიტანა, ვერასოდეს იფიქრებდა, რომ ისინი მას ერთმანეთის საწინააღმდეგოდ გამოიყენებდნენ. მით უფრო, საკუთარი ქვეყნის საზიანოდ. ქარსაფარი ზოლის დანიშნულება და დადებითი გავლენა მიწის მოსავლიანობაზე ყველაზე კარგად ფერმერმა უნდა იცოდეს, მის გაშენებასა და მოვლაზეც სწორედ ის უნდა ზრუნავდეს, რადგან მის მოსავალს ძლიერი ქარისგან სწორედ ქარსაფარი დაიცავს! მაგრამ, როგორც ჩანს, ბევრს ეს არ ანაღვლებს, ანდა ფიქრობს, რომ თანამედროვე სოფლის მეურნეობაზე წარსულის გამოცდილება არ სჭირს... მაგრამ ფაქტი ჯიუტია, ქარსაფარი ზოლების გარეშე მიწის ნაკვეთები მოუსავლიანი ხდება, მათი გაჩანაგება კი კლიმატის ცვლილებაზე უარყოფით გავლენას ახდენს. ხანძრის გაჩენის მაპროვოცირებელი ხშირად გვალვაცაა, ამიტომ ცეცხლს სიფრთხილით უნდა მოეკიდოს ყველა, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც გაუდაბნოების პროცესის თანმდევი-ქარი შირაქის ველზე მუდმივად სახლობს.

ცეცხლთან თამაში აკრძალულია, ბატონებო!

ინგა შიოლაშვილი

# „დედა ენა“ სკოლებში ბრუნდება

***მე-19 საუკუნეში, რუსეთის იმპერიის რეფორმები და რეპრესიები,ერთადერთი მიზნით, ქართული გენისა და თვითშეგნების გადაგვარებისთვის ხორციელდებოდა. სკოლებში ქართული ენის ხსენებაც კი იკრძალებოდა, არისტოკრატია ქართულად ხმის ამოღებას ერიდებოდა, ე.წ „ინტელიგენცია“ კი რუსულად აზროვნებდა. ქართული ენის შესასწავლად მხოლოდ ორგვერდიანი ნაბეჭდი ანბანი არსებობდა, ისტორიასა და გეოგრაფიას კი საერთოდ არავინ დაგიდევდათ. მოწინავე ახალგაზრდობამ რუსეთის გეგმებს მამული, ენისა და სარწმუნოების ცნება დაუპირისპირა.***

ღვთის წყალობა იყო ალბათ ამდენი სახელგანთმული საზოგადო მოღვაწე, რომელთაც ქართველთა თვითმყოფადობის შენარჩუნება—გაძლიერებას დაუდეს სათავე. იაკობ გოგებაშვილმა ”დედა ენა” შექმნამდე ოცი წლით ადრე, 1865 წელს, შეადგინა “ქართული ენის ანბანი და პირველი საკითხავი წიგნი მოსწავლეებისთვის”. დიდმა პედაგოგმა წიგნს “დედა ენა” 1876 წელს დაარქვა. ოცწლიანი მეთოდოლოგიური, ფსიქოლოგიური, პედაგოგიური დახვეწის შემდეგ, 1876 წელს, მან გამოსცა ქართული ენის ორიგინალური სახელმძღვანელო დაწყებითი სკოლებისათვის — ”დედაენა”. წიგნში განსაკუთრებული ყურადღება საყმაწვილო სახელმძღვანელოს მორალურ, ზნეობრივ და პატრიოტულ კრიტერიუმებს დაეთმო. ავტორი თითოეულ სიტყვას, ყმაწვილთათვის შესათავაზებელ მოთხრობასა თუ ლექსში, სათუთად აზუსტებდა, ხვეწდა მეთოდურ ნიუანსებს, რომ მარტივიდან რთულისკენ სვლა ბუნებრივი, სასურველი და სახალისო ყოფილიყო. საყოველთაო განხილვის საგნად აქცევდა თითოეული ასოს მოხაზულობას . “დედა—ენა“ ერთ—ერთი საგანძურია ქართველი ერისათვის. “დედა ენის” არსებობა ერის არსებობას ნიშნავს, ენის სიცოცხლე — ერის სიცოცხლეს. იაკობი ბავშვებში შეუცნობელის შეცნობის წყურვილს აღვივებდა და ქართული ანბანის შესასწავლად განაწყობდა.

იაკობ გოგებაშვილის ”დედა ენის” ყოველმხრივ სრულყოფილებაზე ისიც მიუთითებს, რომ თითქმის საუკუნე-ნახევრის შემდეგაც თანამედროვე ”დედაენა” ამ დიდი მოღვაწის მიერ შედგენილი სახელმძღვანელოს პრინციპებს ემყარება. საანბანე ნაწილის აგების პრინციპი, წიგნის თემატური მხარე იყო საფუძველი იმისა, რომ 1960 წელს ვენესუელის ქალაქ კარაკასში გამართულ მსოფლიო ენების საანბანე სახელმძღვანელოების საერთაშორისო გამოფენა-კონკურსზე იაკობის „დედა ენის“ მიხედვით შედგენილმა სახელმძღვანელომ პირველი პრემია და საპატიო მედალი დაიმსახურა.

2019-2020 სასწავლო წლიდან იაკობ გოგებაშვილის „დედა ენა“ სკოლებში ადაპტირებული ვერსიით დაბრუნდება და არსებულ გრიფირებულ სახელმძღვანელოებთან ერთად, მნიშვნელოვანი სასწავლო რესურსი გახდება. სახელმძღვანელოს ადაპტირებული ვერსია პარლამენტის ინიცირებითა და განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის მიხეილ ბატიაშვილის ბრძანებით შექმნილმა ექსპერტთა სპეციალურმა კომისიამ შეიმუშავა. განათლების სამინისტროს ინფორმაციით, განახლებულ „დედა ენას“ ყველა საჯარო სკოლის დაწყებითი საფეხურის მოსწავლე უფასოდ მიიღებს. ქართული საანბანე სახელმძღვანელოს შედგენის იაკობ გოგებაშვილისეულ მეთოდს არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის სტატუსი 2013 წელს მიენიჭა, ხოლო ეროვნული კატეგორია 2014 წელს განესაზღვრა.

„საქართველოს პარლამენტის მიერ მიღებული კანონის საფუძველზე, სამინისტრომ ქართული საანბანე სახელმძღვანელო იაკობ გოგებაშვილისეული მეთოდით მოამზადა. იაკობ გოგებაშვილის „დედა ენის“ მიმართ, მაღალი საზოგადოებრივი ინტერესის გათვალისწინებით, შეიქმნა ისეთი სახელმძღვანელო, რომელიც, ერთი მხრივ, ეროვნულ და კულტურულ საფუძველს, ხოლო, მეორე მხრივ, სწავლების თანამედროვე მეთოდებს დაეფუძნა. იაკობ გოგებაშვილის „დედა ენის“ უკანასკნელი გამოცემის ადაპტირება მოხდა ისე, რომ შენარჩუნდა ავტორის ძირითადი მეთოდები, პრინციპები და მასალა, და თანამედროვეობას დაუახლოვდა. არქაული ლექსიკა ნაწილობრივ შეიცვალა, თუმცა ძირითადი ლექსიკა, რაც დღესაც გამოიყენება, სახელმძღვანელოში დარჩა“, - აღნიშნულია უწყების მიერ გავრცელებულ განცხადებაში.

„სექტემბრიდან ქართულ სკოლებში იაკობ გოგებაშვილის „დედა ენა” დაბრუნდება” - ასე ამცნო საზოგადოებას, საქართველოს პრემიერ-მინისტრმა მამუკა ბახტაძემ ვარიანიდან, იაკობ გოგებაშვილის სახლ-მუზეუმიდან, სადაც ახალი სასწავლო წლიდან, სკოლებში იაკობ გოგებაშვილის „დედა ენის” ადაპტირებული ვერსიით დაბრუნებასთან დაკავშირებით ღონისძიება გაიმართა.

“სექტებრიდან ყველა პირველკლასელი იაკობ გოგოებაშვილისეული მეთოდით შემუშავებულ „დედა ენის“ სახელმძღვანელოს მიიღებს . ჩვენ დღეს ვიმყოფებით იაკობ გოგებაშვილის სახლ-მუზეუმთან და მინდა, აქედან მივესალმო სრულიად საქართველოს. ეს იყო ეპოქა, როდესაც განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იყო ნამდვილი პატრიოტი ადამიანების ერთად დგომა. ეს იყო უდიდესი გამოწვევა მაშინდელი საქართველოსთვის, როდესაც ქართული ენა გაქრობის პირას იყო.ქართველმა პატრიოტებმა შეძლეს შეუძლებელი, შეძლეს და შექმნეს წიგნი, რომელიც გადაეცემა თაობიდან თაობას, რომელმაც შეგვინარჩუნა ყველაზე წმინდა- ქართული ენა და ქართული ანბანი. როდესაც იაკობ გოგებაშვილი თავის წიგნს წერდა, მას სწორედ ეს განზრახვა ჰქონდა, რომ ის გადაცემულიყო თაობიდან თაობას, რომ შეგვენარჩუნებინა ყველაზე წმინდა, ჩვენი ენა და ანბანი. მაგრამ შემდეგ, სამწუხაროდ, უპასუხისმგებლო ადამიანების მოქმედების შედეგად, იაკობ გოგებაშვილის „დედა ენა“ ამოიღეს სასწავლო პროგრამიდან და ამან გამოიწვია ჩვენი საზოგადოების გულისწყრომა, სამართლიანი და ობიექტური. მაშინდელი ეპოქისთვის და მაშინდელი პატრიოტებისთვის წერა-კითხვის გავრცელება იყო ეროვნული იდეა, ისინი სწორედ წერა-კითხვის გავრცელებაში ხედავდნენ საქართველოსა და ქართველი ენის გადარჩენას. დღეს ჩვენც გვაქვს ეროვნული იდეა და ეს არის განათლება.სექტემბრიდან ქართულ სკოლებში დაბრუნდება იაკობ გოგოებაშვილის „დედა ენა“. ეს არის განსაკუთრებული ნაბიჯი და ძალიან დიდი მადლობა მინდა გადავუხადო ყველას, ვინც ამ სახელმძღვანელოს შექმნაში მონაწილეობდა.სექტემბრიდან ყველა პირველკლასელი უფასოდ მიიღებს „დედა ენის“ სახელმძღვანელოს და დარწმუნებული ვარ, ისევე შეიყვარებენ ჩვენი ბავშვები ამ სახელმძღვანელოს, როგორც ჩვენს თაობას უყვარდა“

აღსანიშნავია, რომ განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრმა უკვე გამოაქვეყნა ბრძანება, რომლის მიხედვითაც, იაკობ გოგოებაშვილისეული მეთოდით შედგენილი პირველი კლასის სასკოლო სახელმძღვანელოს (მოსწავლის წიგნი) —„დედა ენის“ მაკეტს გრიფი მიენიჭა. იაკობ გოგებაშვილის საზოგადოების თანათავმჯდომარე, პროფესორი გოგი გოგოლაშვილი ასე პასუხობს შეკითხვას, თუ რას გულისხმობს „დედა ენის“ დაბრუნება – იქნება ეს უცვლელი სახით თუ გადამუშავბული ვარიანტი? „მოქმედი სახელმძღვანელოებიდან ორი რიგის სახელმძღვანელოებს ასახელებს: ერთი, რომელიც იწყება „აი ია“-თი და მეორე, რომლიც ასე არ იწყება. მისი აზრით, თუ სახელმძღვანელო იწყება „აი ია“-თი და გრძლედება იმავე თანმიმდევრობით, როგორც გოგებაშვილშია – „აი ია“, „თითი“ „საათი“ და ა.შ. – ეს უკვე უპირობოდ, იაკობის პრინციპია და, შესაბამისად, მისი საკუთრებაა. იმ შემთხვევაში, თუ რომელიმე ადამიანი ერთ ან ორ საანბანე სიტყვას შეცვლის იაკობის „დედა ენაში“, არ შეიძლება სახელმძღვანელოს ავტორად იწოდოს, რადგან ეს პირდაპირ ინტელექტუალური საკუთრების მითვისებაა. ამიტომ, თუ „აი ია“-თი დაიწყება სახელმძღვანელო, აუცილებლად უნდა აიგოს იმ პრინციპით, რა პრინციპითაც გოგებაშვილმა დაგვიტოვა და მთავრი პირობით: მას აუცილებლად „დედა ენა“ უნდა ერქვას, ავტორი კი იაკობ გოგებაშვილი ეწეროს.“




**თავისი ანდერძის მე-7 პუნქტში იაკობ გოგებაშვილი წერდა: „ყოველგვარი ცვლილება ჩემს სახელმძღვანელოებსა და წიგნებში შეიძლება იქნას შეტანილი ამ ცვლილებათა მხოლოდ ზედმიწევნით შესწავლის შემდეგ”.**

„ჩვენ ერთგული დავრჩით მისი ამ მოთხოვნისა და, რადგანაც საანბანე ნაწილი, ამავე დროს, უნდა იყოს ენობრივი სახელმძღვანელო, ის შევუსაბამეთ თანამედროვე ქართული სალიტერატურო ენის ნორმებს. ამიტომ ლექსიკური ერთეულები ამოვიღეთ ან შევცვალეთ მხოლოდ მაშინ, თუ ენაში ჩანაცვლებულია სხვა სიტყვით (მაგალითად სიტყვა „ასასი” თანამედროვე ქართულისათვის უცხოა და ის შეიცვალა „დარაჯით”). ისტორიულ-ეთნოგრაფიულ ლექსიკას თითქმის არ შევხებივართ, რადგან ის ენაში არაფრით ჩანაცვლებულა (თანამედროვე ქართულშიც გამოიყენება ხმალი, მეფე, ჯარა… დღესაც ვამბობთ: ჯარასავით ტრიალებსო).გავითვალისწინეთ შესაცვლელი სიტყვის ბგერითი შედგენილობა, მაგალითად: თუ ვინმეს სახელი „სესე” არ მოსწონს, უნდა ჩანაცვლდეს ისევ ორმარცვლიანით, მაგალითად: სოსოთი და არა - სიმონით ან ალექსანდრეთი;ანბანის შემდეგ საკითხავი ტექსტები შევარჩიეთ გოგებაშვილის მემკვიდრეობიდან.აქსიომატური ჭეშმარიტებაა, რომ ჩვენს შემთხვევაში დედაენის გადამუშავებული ახალი სახელმძღვანელო უნდა ეყრდნობოდეს იმ საგანძურს, რომელიც გოგებაშვილმა გვიანდერძა და, ამასთანავე, აუცილებლად ითვალისწინებდეს სწავლების მიმართ თანამედროვე მიდგომებს. ამიტომაც, იაკობ გოგებაშვილის მიერ შედგენილი დედაენის ჩვენეული რედაქცია გადამუშავდა, მოერგო თანამედროვე მეთოდოლოგიებს. საკითხავ ტექსტებს დავურთეთ ასაკისათვის შესატყვისი სხვადასხვა სირთულის შეკითხვები. წიგნში შეგხვდებათ გოგებაშვილისეული სასაუბროები, ანდაზები, გამოცანები, რებუსები. ყოველი გვერდი გაფორმებულია მხატვრის მიერ... გარდა ამისა, დედაენას ახლავს რვეული (წერის დედანი) და მასწავლებლის წიგნი.“-აღნიშნა სახელმძღვანელოზე მომუშავე ექსპერტთა ჯგუფის წევრმა, ფილოლოგიის დოქტორმა, პროფესორმა საბა მეტრეველმა. კითხვაზე : - და ეს იქნება ერთადერთი სახელმძღვანელო პირველკლასელთათვის?-ასე პასუხობს:-- არამც და არამც! დედაენა, სხვა ალტერნატიულ გრიფირებულ სახელმძღვანელოებთან ერთად, სკოლებს ასარჩევად წარედგინება. მასწავლებლები და მშობლები თავად გადაწყვეტენ, იაკობ გოგებაშვილის შედგენილი დედაენა აირჩიონ თუ - სხვა სახელმძღვანელოები.

„რესპუბლიკური პარტიის“ წევრის, ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატის ლევან ბერძენიშვილის განცხადებით, სკოლაში იაკობ გოგებაშვილის „დედა ენის“ დაბრუნება მავნებლობაა. „საქართველოს პრემიერ-მინისტრი და განათლებისა და კიდევ ბევრი რამის მინისტრი მავნებლობას ჩადიან, როდესაც სკოლაში გოგებაშვილის სახელმძღვანელოს აბრუნებენ. ენა ყოველდღიურად იცვლება და ბავშვმა თანამედროვე ენა უნდა ისწავლოს. დაბრმავება არ იკმარეს და ახლა ჩვენს შვილებს დამუნჯებას უპირებენ. ბატონო ლინგვისტებო, მეცნიერებო, ამოიღეთ ხმა ამ უვიცობის წინააღმდეგ“, — წერს ლევან ბერძენიშვილი .

სამინისტროს ეროვნული სასწავლო გეგმების დეპარტამენტის ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებათა მიმართულების ხელმძღვანელი, თამარ ჯაყელი საუბრობს:-როცა ვსაუბრობთ გოგებაშვილისეულ „დედა ენაზე“, აქ გოგებაშვილისეული მეთოდი იგულისხმება და არა 1912 წელს გამოცემული წიგნი, რომლის ახლა დაბეჭდვა ნამდვილად ბევრ უხერხულობას შექმნის. საერთოდ, „დედა ენის“ დაბრუნება-არდაბრუნების საკითხი ძალიან კომპლექსური და რთული თემაა.

განათლების მკვლევარი რევაზ აფხაზავა საკანონმდებლო ინიციატივას აკრიტიკებს და ამბობს, რომ ინიციატივა ზედაპირულია და არამეცნიერულ მიდგომებზეა დაფუძნებული: „ ეს პრინციპები, რომლებსაც გოგებაშვილი იყენებდა, საინტერესო და მნიშვნელოვანია. ამ პრინციპების ერთობლიობამ შექმნა იმ დროისთვის კარგი საშუალება წიგნიერების დონის ასამაღლებლად. გოგებაშვილი იმ დროისთვის თანამედროვე გამოცდილებას და მეთოდოლოგიას იყენებდა. ის ადამიანი მე-19 ბოლოს და მე 20 დასაწყისში იყო რეფორმატორი და რეფორმატორი ადამიანები ნიშნავს იმას, რომ იმ დროში იმ რეფორმის ადეკვატური ხარ. ახლა რომ ყოფილიყო გოგებაშვილი, ის გამოიყენებდა არსებულ ინტერესებს ბავშვებში, არსებულ თანამედროვე მიდგომებსა და ინიციატივებს, კრიტიკულ შეფასებებსაც გაითვალისწინებდა. ეს ინიციატივა ამ სამივე პრინციპს უგულვებელყოფს.ეს ზღუდავს ყველა დანარჩენ ავტორს, რომ ახალი სახელმძღვანელო შეიქმნას. ჩვენ ველარ გვეყოლება ადამიანები, რომლებიც კარგ სახელმძღვანელოებს დაწერენ“, - ამბობს რეზო აფხაზავა.

***როგორც ვხედავთ, იაკობ გოგებაშვილის „დედა ენის“ დაბრუნებას მარტო მომხრეები კი არა,მოწინააღმდეგეებიც ჰყავს. განათლების სისტემაში მომუშავე ადამიანები ღიად აფიქსირებენ საკუთარ პოზიციას.სექტემბრიდან დაიწყება ახალი სასწავლო წელი და ნათელი გახდება სკოლების არჩევანი და იმ პედაგოგთა რაოდენობა, რომლებიც გოგებაშვილის „დედა ენაზე“ შეაჩერებენ არჩევანს.***

**მოამზადა**
ხათუნა ბენაშვილმა

# WASH საბჭო დედოფლისწყაროში

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტში, 12 ივლისს, კავკასიის გარემოსდაცვითი არასამთავრობო ორგანიზაციების ქსელი (CENN), WASH (water, sanitation and hygiene) საბჭოს დაინტერესებულ მხარეებს შეხვდა. CENN-ის გუნდი დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის საგანმანათლებლო რესურსცენტრის უფროსს ეთერ ზურიკაშვილს, არასამთავრობო ორგანიზაციებთან ურთიერთობის კოორდინატორს ანა ბენაშვილს, სოციალური სამსახურის წარმომადგენელს ლალი ზურაშვილს და ადგილობრივი მედიის წარმომადგენლებს გაესაუბრა. შეხვედრაზე **CENN-ის გარემოსდაცვითი პროექტების კოორდინატორმა ვახო ქოჩორაძემ** დაინტერესებულ პირებთან ერთად პროექტის ძირითადი საქმიანობები და WASH საბჭოს შექმნა განიხილა.

შეხვედრის მიზანი დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტში პროექტის „WASH ინიციატივა საქართველოში სოფლად მცხოვრები სოციალურად დაუცველი ქალებისა და ბავშვებისთვის“ მიმოხილვა და WASH საბჭოს ჩამოყალიბება იყო. ამასთანავე, ვახო ქოჩორაძემ შეხვედრაზე აღნიშნული პროექტის ფარგლებში, საქართველოს 10 რეგიონში მუშაობის ერთწლიანი ანგარიშის წარადგინა და დაინტერესებულ მხარეებთან სამომავლო გეგმებიც განიხილა.

პროექტი მიზნად ისახავს წყლის მიწოდების, სანიტარიისა და ჰიგიენის პირობების გაუმჯობესებას რეგიონულ სკოლებში, ამბულატორიებში, საბავშვო ბაღებსა და სოციალურად დაუცველ მრავალეთნიკური თემების ოჯახებში. ასევე საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესებას, დისკრიმინაციის თავიდან აცილებას, წყალთან ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფას და WASH სტანდარტების დამკვიდრებას დაინტერესებული მხარეების ჩართულობით. მიზნის მისაღწევად პროექტი ითვალისწინებს როგორც ინოვაციური სარეაბილიტაციო პროექტების განხორციელებას, ასევე ქალებისა და ახალგაზრდების უნარების გაუმჯობესებას.



პროექტი - „WASH ინიციატივა საქართველოში სოფლად მცხოვრები სოციალურად დაუცველი ქალებისა და ბავშვებისათვის“ - ხორციელდება CENN-ის მიერ, GLOBAL WATER CHALLENGE-ისა და კოკა-კოლას ფონდის (TCCF)-ის ფინანსური მხარდაჭერით.

**მოამზადა**
ქუქუნა ყანჩაშვილმა

# მორიგი ვიზიტი წითელ ჯვარში

17 ივლისს საქართველოს წითელი ჯვრის საზოგადოების დედოფლისწყაროს ადგილობრივ ორგანიზაციას, რომელიც დედოფლისწყაროში პირველადი ჯანდაცვის კლინიკის სახით არის წარმოდგენილი, **საქართველოს წითელი ჯვრის პრეზიდენტი** ნათია ლოლაძე და **ირანის წითელი ნახევარმთვარის პრეზიდენტი** ალი ასგარ ფეივანდი ეწვივნენ. ვიზიტის ფარგლებში სტუმრები დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის მერს, ნიკოლოზ ჯანიაშვილს და საკრებულოს თავმჯდომარეს, ნუგზარ პაპიაშვილს შეხვდნენ.



ალი ასგარ ფეივანდმა წითელი ჯვრის პირველადი ჯანდაცვის კლინიკა დაათვალიერა და დედოფლისწყაროს ადგილობრივი ორგანიზაციის ხელმძღვანელს, წითელი ჯვრის პირველადი ჯანდაცვის კლინიკის მენეჯერს ნათელა თამაზაშვილს გაესაუბრა. გარდა ამისა, სტუმრები მედპერსონალსაც შეხვდნენ და დეტალურად გაეცნენ კაბინეტების მუშაობას.

დელეგაციის წარმომადგენელთა განცხადებით, ირანის წითელი ნახევარმთვარის ორგანიზაცია საქართველოსთან თანამშრომლობის გაღრმავებასა და ჰუმანიტარული პროექტების განხორციელებას გეგმავს. მათი დედოფლისწყაროში ვიზიტიც ამ მიზანს ემსახურებოდა. ორგანიზაციის მენეჯერის თქმით, იგეგმები სხვადასხვა ქვეყნების წითელი ჯვრის ორგანიზაციის ვიზიტი ადგილობრივ ორგანიზაციაში.

შეგახსენებთ, რომ დედოფლისწყაროს პირველადი ჯანდაცვის კლინიკა ადგილობრივ სოციალურად დაუცველ მოსახლეობას აქტიურად უწევს სხვადასხვა ტიპის დახმარებას. ეს იქნება ექოსკოპიური თუ ლაბორატორიული გამოკვლევები, თვალის, კარდიოლოგიური თუ გინეკოლოგიური მომსახურება. გარდა ამისა, ორგანიზაცია საქველმოქმედო აქციებსაც ხშირად ატარებს და ცდილობს, სოციალურად დაუცველ და მრავალშვილიან ოჯახებს მცირედითაც კი დაეხმაროს.

**მოამზადა**
ქუქუნა ყანჩაშვილმა

# „არტ-გენი 2019“ დასრულდა...

10 ივლისს დედოფლისწყაროს კულტურის ცენტრთან არსებული ვაჟთა ვოკალურ-საკრავიერო ანსამბლი „ქიზიყი“ (ხელმძღვანელი გ.გველუკაშვილი) თბილისში, ეთნოგრაფიულ მუზეუმში გამართული ტრადიციული ფესტივალის დასკვნით ტურში წარსდგა მაყურებლის



წინაშე.აქვე კიდევ ერთხელ შევახსენებთ მკითხველს, რომ 2004 წლის დასაწყისში შეიქმნა ჯგუფი „არტ-გენი“, მეგობრების ჯგუფი, რომლის ძირითად მიზანს წარმოადგენდა ქვეყანაში არსებული სოციალურ-კულტურული პრობლემების დაფიქსირება და მათი წარმოჩენა. თავიდანვე ჯგუფის პრიორიტეტად განისაზღვრა საოჯახო ფოლკლორის და სხვადასხვა ძირძველი ტრადიციების მოძიება და მათი პოპულარიზაცია. აგრეთვე, მათი სურვილი იყო, აღედგინათ ხიდი ქალაქსა და სოფელს შორის და ჩამოეტანათ სოფლიდან ქალაქში ტრადიციული კულტურა, რაც ერთის მხრივ ახალგაზრდობაში გააღვივებდა ინტერესს მათი ისტორიისა და ტრადიციების მიმართ, მეორეს მხრივ, დაანახვებდა სოფლის მაცხოვრებლებს მათ მიერ შენარჩუნებული ტრადიციებისადმი ინტერესსა და მოთხოვნას.

ამისთვის დაარსდა ყოველწლიური სახალხო ფესტივალი „არტ-გენი“, რომელიც ყოველწლიურად ტრადიციულად იწყება ექსპედიციებით და ღონისძიებებით ქვეყნის სხვადასხვა რეგიონებში, დასკვნითი ნაწილი კი იმართება თბილისის ეთნოგრაფიული მუზეუმის ტერიტორიაზე, სადაც თავს იყრის ექსპედიციების შედეგად მოძიებული სხვადასხვა დარგის ტრადიციული კულტურა, მონაწილეობას ღებულობენ რეგიონების ფოლკლორული შემოქმედების კოლექტივები.

ფესტივალის 15 წლის არსებობის განმავლობაში მის ბაზაზე ჩატარდა ასზე მეტი კონცერტი და ღონისძიება. დღეს ის წარმოადგენს ქვეყანაში ერთერთ ყველაზე ცნობილ და ხალხმრავალ ფესტივალს, რომელსაც ყოველწლიურად საშუალოდ 30 — 40 ათასი ადამიანი ესწრება.

იგი წელს, 16 ივნისს ახმეტიდან დაიწყო და დედოფლისწყაროს კულტურის ცენტრთან არსებულმა ვაჟთა ვოკალურ-საკრავიერო ანსამბლმა „ქიზიყმა“, რომელიც წელს დებიუტანტი გახლდათ ამ ფესტივალზე, პირველად აქ გააცნო და მოაწონა მაყურებელს თავი. 10 ივლისს თბილისის ეთნოგრაფიულ მუზეუმს ვეწვიეთ, სადაც საღამოს კონცერტი „ქიზიყმა“ გახსნა. საუკეთესო გამოსვლის შემდეგ მაყურებლის აპლოდისმენტები და შეძახილები არ წყდებოდა, რაც დიდი სტიმული გახლდათ სცენაზე ახლადფეხადგმული დამწყებებისთვის, მათ შორის 7 წლის სოლისტი თაზოსთვის, ანსამბლის ყველაზე უმცროსი წევრისთვის...იმ დღეს კონცერტის სრულად ყურების შანსი ჰქონდათ ბავშვებს, რითაც მიიღეს დიდი გამოცდილება, ნახეს რეგიონების ადგილობრივი შემოქმედებითი კოლექტივების კონცერტები, რომელიც ფართო სპექტრით იყო წარმოდგენილი მცხეთა-მთიანეთიდან, გორი-ახალგორიდან, არც „ჩვენებურების“ მოსმენის და „ჰოროლის“საბრძოლო ხელოვნების ნახვის სიამოვნება მოჰკლებიათ ბავშვებს და შთაბეჭდილებებს მთელი გზა უზიარებდნენ ერთმანეთს. ზოგიერთმა არც იცოდა, ანსამბლ „ჩვენებურების“ ერთ-ერთი დამფუძნებელი და სოლისტი სოლომონ გოგაშვილი არბოშიკელი რომ არის და მისი სახით მთელი ქიზიყის სიამაყე გვყავს დესპანად წარდგენილი ფოლკლორის თუ ჯაზ-ფოლკის მიმართულებით...

დასასრულს მშობლებმა მარინა მაძღარაშვილმა, თამუნა ლომსაძემ და ცისანა ნადაშვილმა მადლობა გადაუხადეს კულტურის ცენტრის ხელმძღვანელს ილია მარტყოფლიშვილს იმ განსაკუთრებული ყურადღებისა და გულისხმიერებისთვის, რასაც ის იჩენს ამ ბავშვების მიმართ მოსვლის დღიდან.

ელზა ხარაშვილი



# „რუსთავი-2“-ის საქმე

***„რუსთავი 2”-ის გამო დიდი ბრძოლა იწყება. სტრასბურგის გადაწყვეტილების გამოცხადების შემდეგ პროცესები ელვის სისწრაფით განვითარდა - სულ რაღაც რამდენიმე საათში საჯარო რეესტრში შეიცვალა არხის მფლობელიც და გენერალური დირექტორიც. გვარამია გადააყენეს და მის ნაცვლად დაინიშნა ადვოკატი პაატა სალია, რომელიც იმავე ღამეს მივიდა ტელევიზიაში, სადაც ჟურნალისტებმა განუცხადეს, რომ მასთან თანამშრომლობას არ აპირებენ. ამ სიჩქარემ კიდევ უფრო გაამტკიცა ის აზრი, რომ „რუსთავი 2”-ის მფლობელის შეცვლა ხელისუფლების ინტერესშია და ეს თავად მმართველი პარტიის წევრების განცხადებებიდანაც ჩანს. „ოცნების” გუნდი ზეიმობს. აცხადებენ, რომ ქართულმა მართლმსაჯულებამ გაიმარჯვა. საზოგადოების ერთ ნაწილიც თვლის, რომ არხი კანონიერ მფლობელს დაუბრუნდა და სამართლიანობა აღდგა”.***

საპირისპირო შეფასებები ისმის ოპოზიციაში, თავად ტელევიზიაში და ანალიტიკოსებისა და საზოგადოების ნაწილშიც, სადაც კეთდება განცხადებები, რომ „რუსთავი 2” ხელისუფლებამ წაიღო, რომ მფლობელის ცვლილება ნიშნავს, რომ შეიცვლება სარედაქციო პოლიტიკა, ეს სურათი საქართველოში უკვე ბევრჯერ გვინახავს და ასე ნელ-ნელა უარესდება მედია გარემო. ასევე კეთდება განცხადებებიც, რომ „რუსთავი 2“ უნდა დაიცვან და ამ დამოუკიდებელი და კრიტიკული არხის ხელისუფლებისთვის დათმობა არ შეიძლება. ტელეკომპანიის მთელი გუნდი აცხადებს, რომ ხალვაშთან თანამშრომლობას არ აპირებენ და მათთვის სარედაქციო დამოუკიდებლობის გარანტია არის ნიკა გვარამია, რომელიც საჯარო რეესტრის გადაწყვეტილებით უკვე გენდირექტორი არ არის. იურისტები აცხადებენ, რომ სტრასბურგის სასამართლოს არაერთი საქმეზე გამოუტანია გადაწყვეტილება და დაუვალებია ხელისუფლებისთვის მისი აღსრულება, მაგრამ არც ერთი შემთხვევა არ ყოფილა, როცა ასე ერთ დღეს, ფორსირებულად, რაღაც საათებში მომხდარიყოს სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულება”.

**დიდი ხმაური დილიდან დაიწყო, როცა სტრასბურგის გადაწყვეტილება გამოქვეყნდა. ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ „რუსთავი 2”-ის საქმეზე ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის არცერთი მუხლის დარღვევა არ დაადგინა. ამ გადაწყვეტილებით სტრასბურგის სასამართლომ თქვა, რომ კანონიერია საქართველოს სამი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება და „რუსთავი 2” ქიბარ ხალვაშს ეკუთვნის. „რუსთავი 2”-ს შეუძლია, საქმე სტრასბურგის სასამართლოს დიდ პალატაში გაასაჩივროს. ამასთან, სტრასბურგის სასამართლომ აღარ დატოვა ძალაში დროებითი ღონისძიება - უზენაესი სასამართლოს აღსრულების შემჩერებელი მექანიზმი, რის გამოც არხი 2017 წლიდან არ გადაფორმებია ხალვაშს. როგორც იუსტიციის მინისტრმა თეა წულუკიანმა განაცხადა, ეს გადაწყვეტილება არ ექვემდებარება გასაჩივრებას. შემდეგ ქიბარ ხალვაშმა გაავრცელა განცხადება, სადაც ნათქვამია, რომ ერთადერთი, ის ათავისუფლებს ნიკა გვარამიას, სარედაქციო პოლიტიკის შეცვლას და ჟურნალისტების გათავისუფლებას კი არ გეგმავს”.**

“მან მიმართა საჯარო რეესტრს, რის შედეგადაც ტელეარხის მფლობელად დარეგისტრირდა, ხოლო დირექტორად თავისი იურისტი პაატა სალია დანიშნა. ნიკა გვარამია თანამდებობიდან გათავისუფლდა. ამას მოჰყვა განცხადებები „რუსთავი 2”-ში. საინფორმაციო და პოლიტიკური, გასართობ-შემეცნებითი და მუსიკალური პროგრამების თანამშრომლებმა საერთო განცხადება გაავრცელეს და ნიკა გვარამიას მხარდაჭერა გამოუცხადეს.



მათი თქმით, გვარამია არის არხის სარედაქციო დამოუკიდებლობის მთავარი გარანტი. საინფორმაციო და პოლიტიკური გადაცემების წარმომადგენელთა თქმით, მთავარ საფრთხეს არხისთვის, მედიასივრცისა და “საბოლოო ჯამში, მთლიანად ქვეყნისთვის” ტელეკომპანიის სარედაქციო პოლიტიკის შეცვლა წარმოადგენს. „მიგვაჩნია, რომ ხალვაში წარმოადგენს ბიძინა ივანიშვილის ხელისუფლებას, რომელიც მთელი თავის ძალებით, ყველა შესაძლებლობით და ძალაუფლების ყველა შტოს გამოყენებით იბრძოდა “რუსთავი 2”-ის წინააღმდეგ, “ქართული ოცნების” მხარეს. იმ პოლიტიკური ჯგუფის მხარეს, რომელიც ხელისუფლებაში ყოფნის პირველივე დღიდან ცდილობს შეცვალოს „რუსთავი 2“-ის კრიტიკული სარედაქციო პოლიტიკა”, - ნათქვამია განცხადებაში”.

**“რუსთავი 2”-ის იურისტმა თამთა მურადაშვილმა განაცხადა, რომ სტრასბურგის გადაწყვეტილება ჯერ არ არის ძალაში შესული. „ჩვენ გვაქვს სამი თვე, სამი თვის შემდეგ შეიძლება საერთოდ შემოტრიალდეს სურათი” - ამბობს მურადაშვილი. გარდა ამისა, მისი თქმით, ახალი მფლობელი ნიკა გვარამიას „უსაფუძვლოდ ვერ გაათავისუფლებს”, რადგან კონტრაქტის მიხედვით ვადაზე ადრე გათავისუფლების შემთხვევაში, ხალვაშს გვარამიასთვის ჯარიმის სახით 5 მილიონის გადახდა მოუწევს. ნიკა გვარამიამ თქვა, რომ კონტრაქტის გაწყვეტის გამო იდავებს და 5 მილიონიან კომპენსაციას, რომელსაც სამომავლო სასამართლო დავის შემდეგ მოიგებს, ახალი ტელევიზიის დაფუძნებისთვის გამოიყენებს. გვარამია ამბობს, რომ ბოლომდე იბრძოლებს ტელეარხის, მისი სარედაქციო პოლიტიკისა და თანამშრომლების დასაცავად. „სრულიად შეგნებულად ვაკეთებ განცხადებას: ომი თუ იქნება, ჩვენ ვიომებთ და იმედი მაქვს, ამ ომში მარტო არ ვიქნებით”, - თქვა გვარამიამ და დასძინა, რომ არ მისცემს ბიძინა ივანიშვილისთვის უფლებას, “გასრისოს ერთ დღეში ყველაფერი”. განცხადებები გააკეთა ხალვაშის ადვოკატმა და უკვე არხის გენდირექტორმა პაატა სალიამ. მან თქვა, რომ „რუსთავი 2”-ს “დიდი ოთხეულიდან” მოწვეული აუდიტორთა ჯგუფი შეამოწმებს.** სალია საღამოს 8 საათზე ტელევიზიაში მივიდა, სადაც ძალიან კრიტიკულად დახვდნენ. მას მწვავე საუბარი ჰქონდა ჯერ ნიკა გვარამიასთან, შემდეგ - ჟურნალისტებთან. გვარამიამ განაცხადა, რომ კოლაბორაციონისტებთან არ ითანამშრომლებს. რუსთავი 2”-ის თანამშრომლებმა კი სალიასგან საგარანტიო კონტრაქტების გაფორმება მოსთხოვეს. ტელეწამყვანი ნანუკა ჟორჟოლიანი აცხადებს, რომ ჟურნალისტები ქიბარ ხალვაშის ზეპირ სიტყვას არ ენდობიან, რადგან მსგავსი გამოცდილება უკვე ჰქონდათ. მისი თქმით, წლების წინ ქიბარ ხალვაში არხის წამყვან სახეებს ხელშეუხებლობას დაჰპირდა, თუმცა რეპრესიების გამო იძულებული გახდნენ, რომ არხი დაეტოვებინათ. „რუსთავი 2”-ის თანამშრომლები სალიას სთავაზობენ არხის წამყვან სახესთან, რომლებიც ხელისუფლებისთვის უსიამოვნო კონტენტს ქმნიან, დაიდოს კონტრაქტი, რომ 2 წლის განმავლობაში მათ არავინ შეეხება. სალიას თქმით, მან უნდა გაარკვიოს, როგორი კონტრაქტები აქვთ თანამშრომლებს და შეთავაზებაზე შემდეგ იმსჯელოს“.

შეფასებები გაკეთდა პოლიტიკოსებშიც, „ოცნებაში” - საზეიმო, ოპოზიციაში - ძირითადად საბრძოლო. „დღეს ქართულმა სასამართლომ კიდევ ერთხელ ჩააბარა საერთაშორისო, ძალიან კრიტიკული ტესტი,”- განაცხადა ფრაქციის „ქართული ოცნების” ლიდერმა მამუკა მდინარაძემ და „ოცნების” ყველა სხვა წევრის განცხადებას სწორედ ამ პათოსის იყო. შეფასება გააკეთა პრეზიდენტმა სალომე ზურაბიშვილმაც. მისი თქმით, ამ გადაწყვეტილებით სტრასბურგმა საქართველოს სასამართლოს მიუკერძოებლობა და მისი გადაწყვეტილებების სამართლიანობა აღიარა. „ნაცმოძრაობის” ლიდერმა გრიგოლ ვაშაძემ თქვა, რომ ეჭვი არ შეაქვს ევროპული სტრუქტურების გადაწყვეტილებაში, თუმცა სტრასბურგის გადაწყვეტილება საქართველოში შექმნილ რეალობას არ შეესაბამება. „ხალვაში ამ ტელევიზიის მფლობელი ვერ გახდება, ბრძოლა გრძელდება, რუსთავი 2-ს არავის არ დავანებებთ”- განაცხადა ვაშაძემ. სალომე სამადაშვილმა თქვა, რომ ხელისუფლების დღევანდელი პოზიცია **“აღიარებითი ჩვენებაა, რომ არანაირი კერძო დავა ეს არ იყო. დღევანდელი ხელისუფლება პირდაპირ ებრძოდა რუსთავი 2-ს”. რომან გოცირიძის თქმით, „რუსთავი 2”-ის ადგილას მორიგი „ბიძინვიზია” გაჩნდება. „აქ უნდათ შექმნან რუპორი, ჩვეულებრივი სახელისუფლებო ტელევიზია, ქიბარი არის :ახევის” პროგრამა,”- განაცხადა „ევროპული საქართველოს” წევრმა გიგი უგულავამ. „დაუტოვეთ ქიბარს ის ქაღალდის ფურცელი და ააწყოს ტელევიზია და მორჩით ამ ბიძინამ სტრასბურგი იყიდა მარაზმს. წააგეთ საქმე. გადამალეთ ახალი ფურცელი!” - დაწერა თავდაცვის ყოფილმა მინისტრმა თინა ხიდაშელმა „ფეისბუქში”. „რესპუბლიკური პარტიის” წევრი დავით ზურაბიშვილი მიიჩნევს, რომ იმ შემთხვევაში, თუ ხელისუფლება მოვლენებს დააჩქარებს, ეს მისთვისვე იქნება საზიანო და ხელისუფლება აუცილებლად უნდა დაელოდოს გასაჩივრების ვადას, სანამ პროცედურები სრულად არ მორჩება.** განცხადება გაავრცელეს „რუსთავი 2”-ის დამფუძნებლებმა, დავით დვალმა და ჯარჯი აქიმიძემ. „ვულოცავთ ქიბარ ხალვაშს ამ მნიშვნელოვან გადაწყვეტილებას. ამასთანავე, კატეგორიულად ვთვლით - სამართლიანობა აღდგება მხოლოდ მაშინ, როდესაც უკანონოდ წართმეული და პარტიულ სამსახურში ჩაყენებული რუსთავი 2 დაუბრუნდება მის დამფუძნებლებს,”- ნათქვამია აქიმიძე-დვალის განცხადებაში. „რუსთავი 2”-ის საქმეზე სასამართლოში პარასკევს დილის 11 საათზე სარჩელი შეაქვს ირაკლი ოქრუაშვილსაც. არხის მფლობელობაზე პრეტენზია მასაც აქვს.

# ეთიკისა და ეპატაჟის ზღვარზე

***უნივერისტეტის კედლებში, სადაც 4 წელი მასწავლიდნენ ჟურნალისტიკას, მუდმივად მესმოდა ის ძირითადი სტანდარტები, წესები, კანონები, პრინციპები თუ ეთიკური ნორმები, რომელზეც ჟურნალისტიკა დგას და რომელშიც ის უბრალოდ უნდა ჯდებოდეს. 4 წელი მასწავლიდნენ, რომ ჟურნალისტიკა უპირველეს ყოვლისა, მოქალაქეების ერთგული უნდა იყოს. სხვა ყველა მნიშვნელოვან ფუნქციასთან ერთად, ჟურნალისტიკას მაკონტროლებლის მოვალეობაც აქვს, რომელიც მხოლოდ მთავრობის გაკონტროლებას არ გულისხმობს. ის სოციუმის ყველა მნიშვნელოვან ინსტიტუტსაც ეხება. ჟურნალისტიკა თავისი საწყისებით ამაზე იდგა. ამ სფეროში მოღვაწეები „მოდარაჯე ძაღლის“ ფუნქციას უნდა ასრულებდნენ ადეკვატურად და ობიექტურად.***

დღეს ჟურნალისტიკამ გადაწყვიტა, რომ მხოლოდ ხმაურის შემქმნელ პროფესიად დარჩეს. ინფორმაციის გადაცემა მისთვის ისეთივე აქტუალური აღარ არის, როგორიც ეს წლებისა თუ საუკუნეების წინ იყო. ეს ყველაფერი გასაგებიცაა ცვლილებისა და ტექნოლოგიური წინსვლის გამო, რადგან დღეს მნიშვნელობა ენიჭება არა სიახლეების მოყოლვას, არამედ ამ სიახლეების მიწოდების ფორმას. სადამდე მივდივართ? ამას მივყავართ იმ ფაქტამდე, რომ ხშირად ჟურნალისტიკა გადმოცემის ფორმებსაც „ხმაურიანს“ ირჩევს - ისეთს, რომელიც მკითხველისა თუ მაყურებლისთვის ყურადღების მიმქცევი ხდება. რა თქმა უნდა, გამოხატვის ფორმა გაძლევს გარკვეულ თავისუფლებას, იპოვნო ის ერთგვარი „კომფორტის ზონა“, სადაც საკუთარი სუბიექტური აზრის მიწოდების საშუალებაც გექნება. ასეთ ფორმად დღეს, დასავლეთში კარგად გავრცელებული და საქართველოში ახლად ფეხმოკიდებული საავტორო გადაცემებია. საქართველოში ინფორმაციის გავრცელების ამ ფორმას ნელ- ნელა ეჩვევიან და იღებენ. საავტორო გადაცემის კონცეფციით, გადაცემის წამყვანს, მისი შერჩეული ფორმატის ფარგლებში, უფლება აქვს იყოს სუბიექტური და ღიად დააფიქსიროს საკუთარი აზრი, დასვას ისეთი შეკითხვები, რომელიც მის მიერ არჩეულ თემას შეესაბამება. მიუხედავად ამისა, მაინც არსებობს ზღვარი სუბიექტურობასა და არაადეკვატურობას, ეთიკურობასა და ეპატაჟს შორის. ჟურნალისტს უნდა ჰქონდეს პასუხისმგებლობა, რომ ეთერიდან არ გააჟღეროს ისეთი ინფორმაცია, არ წარმოთქვას ისეთი ფრაზები ან არ შეაფასოს მოვლენები ისე, რომ არ ჰქონდეს საკმარისი არგუმენტები. ამგვარ ქმედებას, შესაძლოა, მკაცრი შეფასებები მოჰყვეს და ჟურნალისტის რეპუტაციას ჩრდილი მიადგეს. არსებობს კიდევ ერთი საფრთხე - შესაძლოა ჟურნალისტმა საზოგადოება შეცდომაში შეიყვანოს ან გამოიწვიოს სხვადასხვა ჯგუფების დაპირისპირება, გააძლიეროს საზოგადოებაში არსებული სტიგმები და უმცირესობის ან უმრავლესობის მარგინალიზებას შეუწყოს ხელი. სწორედ ამიტომ, მნიშვნელოვანია, რომ ჟურნალისტი ყველაფერ ამაზე პასუხისმგებლობას იღებდეს.

გარდა ამისა, **ყველა ჟურნალისტი უნდა აცნობიერებდეს, რომ მოქალაქეების მიმართ მოვალეობა უფრო მაღლა დგას, ვიდრე პროფესიული ეგოიზმი და ეპატაჟის სურვილი. მათ აუცილებლად უნდა ჰქონდეთ ეთიკისა და პასუხისმგებლობის უდიდესი გრძნობა. ჟურნალისტიკის პრინციპების მიხედვით, ჟურნალისტი ვალდებულია თავისი სინდისის შესაბამისად მოიქცეს და სხვებსაც მისცეს ასე მოქცევის საშუალება. მარტივად რომ ვთქვათ, ის ვინც მედიასა თუ პრესაში მუშაობს, უნდა აცნობიერებდეს პირად ვალდებულებას ჰქონდეს საკუთარი აზრი, რომელიც არ ემთხვევა ან სულაც ეწინააღმდეგება დამქირავებლის, რედაქტორისა თუ ხელისუფლების წარმომადგენლის აზრს, როცა ამას სამართლიანობა მოთხოვს. მაგრამ ამ აზრის დაფიქსირება, შესაბამისი ფორმების, სტანდარტებისა თუ ეთიკური ნორმების დაცვით უნდა მოახერხოს, თანაც ისე, რომ ამით ზიანი არ მოუტანოს საზოგადოებას და შემდეგ კი საკუთარ პროფესიას.**

საზოგადოების მხრიდან ჟურნალისტიკის და ჟურნალისტის მიმართ უნდობლობას ხშირად სწორედ სტანდარტების დაუცველობაც ქმნის, რაც ხშირად მედიის მხრიდან თვითრეგულაციის მექანიზმების არ არსებობაც იწვევს. ესე იგი, არ არსებობს ეთიკური ჟურნალიზმის საფუძვლები. შესაბამისად, გავრცელებული ინფორმაციის ხარისხი მხოლოდ ცალკეული ჟურნალისტის თუ რედაქტორის მიხედვით წყდება. ამიტომაცაა, რომ ხშირად საზოგადოება ჟურნალისტებს თან ენდობა, და თან არ ენდობა. ხშირად, საკუთარი აზრის გადმოცემა, იმდენად უხეშად არღვევს სტანდარტებს, რომ ამას საზოგადოების აღშფოთება და შემდეგ უკვე პროტესტიც მოსდევს, რაც კიდევ უფრო ამძიმებს იმ ფონს, სადაც საზოგადოება ეჭვის თვალით უყურებს მედიას.




მსგავს გამოცდილებას კიდევ უფრო ამყარებს, ბოლო დროს, ტელეკომპანია „რუსთავი 2-ის“ გადაცემა “პოსტ სკრიპტუმის” წამყვანის, გიორგი გაბუნიას მიერ 7 ივლისს გადაცემის წარდგენისას რუსეთის პრეზიდენტის მიმართ გაკეთებული არაეთიკური განცხადებები. პირდაპირი ეთერიდან სიძულვილის ენისა და გინების ტირაჟირება, ჟურნალისტიკის საფუძვლებს ნაკლებად ერგება და შეიძლბა ითქვას, რომ ჟურნალისტიკაც აღარ არის. მსგავსი დამოკიდებულების გადმოცემასაც თავისი ფორმა აქვს. საქართველოს ჟურნალისტური ეთიკის ქარტია გამოეხმაურა მომხდარ ფაქტს და შემდეგი სახის განცხადება გაავრცელა: **„ჟურნალისტის მიერ გამოყენებული ტექსტი ზიანს აყენებს არა მხოლოდ “რუსთავი 2-ს”, არამედ ქართულ ეთიკურ მედიას, ხელს უწყობს მედიისა და ჟურნალისტების მიმართ ნდობისა და პატივისცემის შემცირებას, სიძულვილის ენის ტირაჟირებას, აზიანებს ქვეყანაში დემოკრატიული პრინციპების დამკვიდრებასა და განვითარებას. სწორედ პასუხისმგებლიანი და ეთიკური მედიაა მთავარი იარაღი სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შენარჩუნებისთვის ბრძოლაში. გადაცემის წამყვანის ამგვარი არაეთიკური და უპასუხისმგებლო განცხადებები ალვივებს მედიის და გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვისკენ ხელისუფლების მისწრაფებებს და ცვლილებებისადმი საზოგადოების ნაწილის მხარდაჭერას, მით უფრო მაშინ, როდესაც ბოლო პერიოდში მაღალი თანამდებობის და სხვა საჯარო პირები თვითრეგულირების შესუსტების ინიციატივებით არაერთხელ გამოვიდნენ.“** - ნათქვამია განცხადებაში. შემთხვევას გამოეხმაურა, ტელეკომპანია „რუსთავი 2“-ის ხელმძღვანელობაც: **„პირველ რიგში, ბოდიშს ვუხდით მაყურებელს მომხდარი ფაქტის გამო. მივიჩნევთ რომ ნებისმიერ ვითარებაში, ნებისმიერი ფასეულობის დასაცავად ჟურნალისტმა, თუნდაც საკუთარ საავტორო გადაცემაში საავტორო პოზიციის დაფიქსირების დროს უნდა დაიცვას არხის სარედაქციო პოლიტიკა და მაღალრეიტინგული ეთერისთვის შესაბამისი ეთიკური მოთხოვნები“** - აღნიშნულია არხის განცხადებაში.

თუკი ჩვენ პროფესიონალიზმზე ვსაუბრობთ, ტელეეკრანებზე გასულს მონოლოგს ამასთან კავშირი არ აქვს. პროფესიონალმა ჟურნალისტმა მხოლოდ ყურადღების ცენტრში აღმოჩენაზე, სკანდალისა და ხმაურის გამოწვევაზე არ უნდა იფიქროს. პროფესიონალიზმი და პროფესიული ეთიკა სულაც არ ეწინააღმდეგებიან ერთმანეთს. პირიქით, ერთი მეორის გარეშე არაფერია. კვალიფიკაცია და კვალიფიციური მუშაობა, დარგის ეთიკური სტანდარტი, შენი მედია აუდიტორიის პატივისცემა - რაც უფრო პროფესიონალია ადამიანი, მას უფრო მეტად აქვს გააზრებული ეს კრიტერიუმები, ეთიკის მნიშვნელობა და უფრო მეტად იაზრებს, სად გადის ძალიან წვრილი ზღვარი ეთიკურობასა და ეპატაჟს შორის.

**მოამზადა**
ჟუჟუნა ყანჩაშვილმა

# „თვითუუნარობის“ ფენომენი ფსიქოლოგიაში

ფილიფ ზიმბარდო „ფსიქოლოგია და ცხოვრებაში“ თვითუუნარობას (Self-handicapping) განმარტავს, როგორც წარუმატებლობის მოლოდინის შემთხვევაში ისეთი ქცევითი რეაქციებისა და ქცევის ახსნის პროცესების განვითარებას, რომლებიც მინიმუმამდე დაიყვანს უნარების დეფიციტს, როგორც წარუმატებლობის შესაძლო მიზეზს. განვიხილოთ უფრო დაწვრილებით მოცემული საკითხი.

**ადამიანები ხშირად ისეთ ქცევებს ახორციელებენ, რომლებიც საკუთარ წარმატებას საფრთხეს უქმნის. თუმცა ჩნდება კითხვა, რატომ აკეთებენ ადამიანები ისეთ რაღაცეებს, რომლებიც წარმატების მიღწევაში ხელის შემშლელია?** სავარაუდო პასუხები ფსიქოლოგიურ კვლევებში უნდა ვეძიოთ. გარკვეული კვლევების მიხედვით ადამიანები ხშირად საფრთხეს უქმნიან საკუთარ წარმატებას, იმისათვის, რომ თავიდან აირიდონ წარუმატებლობის შემთხვევაში დაკისრებული პასუხისმგებლობა.უკეთსად რომ გავიგოთ თუ რაზე ვსაუბრობთ, განვიხილოთ მაგალითი:

**მნიშვნელოვანი გამოცდის წინ სტუდენტმა შესაძლოა ღამე გაათენოს ფილმების ყურებაში სწავლის ნაცვლად, ხოლო როდესაც არასასურველ შედეგს მიიღებს, წარუმატებლობა არა საკუთარი უნარების ნაკლებობას, არამედ გვიანობამდე ფილმების ყურებას დააბრალოს. ასევე ხშირად გვსმენია მსგავსი ფრაზები: „ რომ არ ვეწეოდე სიგარეტს, შენზე სწრაფად ვირბენდი“, „ამდენი რომ მევარჯიშა, მეც მექნებოდა მსგავსი ტანი“ და სხვა.**

**მარტივად რომ ვთქვათ, თვითუუნარობა საშუალებას აძლევს ადამიანებს იპოვონ შესაძლო მარცხის, წარუმატებლობის გარეგანი წყარო, რაც თავისმხრივ შეიძლება თვითშეფასებას იცავდეს, თუმცა საგრძნობლად უარყოფითი ზეგავლენას ახდენდნენ წარმატების მიღწევაზე. მოდით განვიხილოთ რატომ ხდება „თვითუუნარობა“ და რა პოტენციური შედეგი შეიძლება ჰქონდეს მსგავს ქცევებს.**



ფსიქოლოგიური კვლევების მიხედვით, ადამიანებს აქვთ მოთხოვნილება, რომ წარუმატებლობა დააბრალონ გარეგან ფაქტორებს, მაშინ, როდესაც წარმატებას მეტწილად საკუთარ თავს მიაწერენ. მსგავსი ქცევა იცავს ჩვენს თვითშეფასებას, თუმცა ხელს გვიშლის წარმატების მიღწევაშიც. წარუმატებლობა შეიძლება დისკომფორტის მიზეზი გახდეს მაშინ, როდესაც ინდივიდი გაანალიზებს, რომ საკუთარი უუნარობის ან არაკომპეტენტურობის გამო მიიღო არასასურველი შედეგი, რამაც შეიძლება ადამიანს უბიძგოს ისეთი ქცევისაკენ, რომლის დახმარებითაც თავს დააღწევს სიმართლეს და საკუთარი დანაკლისების აღიარებას. აღსანიშნავია, რომ თვითუუნობის ტენდენცია შეიძლება სხვადასხვაგვარად გამოვლინდეს. ზოგი მათგანი შედარებით უმნიშვნელოა, ზოგმაც შესაძლოა სერიოზული ფორმა მიიღოს. მაგალითად: ერთ შემთხვევაში სტუდენტმა დავალების შესრულება ბოლო წუთამდე გადადოს, ხოლო მეორე შემთხვევაში სტუდენტმა ალკოჰოლისა და ნარკოტიკების მიღება დაიწყოს.

ამ ტენდენციის მიზანია დაიცვას თვითშეფასება და ექსპერტების მიხედვით, ეს მართლაც ასეა. აღსანიშნავია, რომ კვლევების მიხედვით ადამიანებთან, რომლებსაც მაღალი თვითშეფასება აქვსთ, უფრო ხშირად ვხვდებით თვითუუნარობას. ძალიან ბევრი ადამიანის შემთხვევაში მსგავსი ქცევები ავტომატურია. იქამდე ვიფიქრებთ მიზეზს, სანამ ვცდით მოფიქრებას. ანუ არსებობს დაშვება, რომ ეს პროცესი არაცნობიერად მიმდინარეობს.

მიუხედავად ამ ტენდენციის პოზიტიური მნიშვნელობის, რაშიც ნაგულისხმებია თვითშეფასების დაცვა, ჩვენ ასევე შეგვიძლია ვილაპარაკოთ ნეგატიურ მნიშვნელობაზეც. თუ წარმატების მიღწევის გზაზე თავად განვალაგებთ ბარიერებს, უფრო ნაკლებია იმის ალბათობა, რომ გამოვიყენებთ ძვირფას, მნიშვნელოვან შანსს, რომელიც წარმატების მიღწევაში დაგვეხმარებოდა. გარდა ამისა, მნიშვნელოვნად ვამცირებთ მოლოდინებს საკუთარი თავის მიმართ, როგორც აწმყოში, ასევე მომავალში. აღსანიშნავია ისიც, რომ თვითუუნარობას მოტივაციის გაუარესება შეუძლია, რაც იმას ნიშნავს, რომ ინდივიდი ნაკლებად აქტიური იქნება თავისი დასახული მიზნების მიღწევისას, რაც გამოიწვევს დიდი ალბათობით წარუმატებლობას.მაგალითად: სტუდენტებში, რომლებთანაც თვითუ- უნარობა ხშირად აღინიშნება, გამოცდის წარუმატებლად ჩაბარებისას იტყოდა, რომ მან ყველაფერი გააკეთა რაც შეეძლო, უბრალოდ გარეგანი მიზეზების გამო ვერ დაწერა კარგად, რაც იმას ნიშნავს, რომ მას გასაუმჯობესებლი აღარაფერი აქვს.

სხვა ნეგატიური შედეგები, რომელიც თვითუუნარობას შეიძლება მოჰყვეს არის შემდეგი:

- **სტუდენტები, რომლებთანაც თვითუუნარობას ვხვდებით ბევრად ნაკლებ დროს უთმობენ კვირის განმავლობაში სწავლას, ვიდრე სხვები.**
- **„თვითუუნაროებს“ საერთო ჯამში დაბალი ქულები აქვთ.**
- **უფრო მეტი ალბათობაა, რომ ალკოჰოლი მოიხმარონ, სანამ რაიმე დავალების შესრულებას დაიწყებდნენ.**
- **შესაძლოა სოციალური ურთიერთობებისათვის საზიანო აღმოჩნდეს.**

თვითუუნაროებს, ყოველთვის გამამართლებელი მიზეზი აქვთ. მათ „წუწუნებსაც“ ეძახიან. კვლევების მიხედვით, თვითუუნარობს, მათი გარშემომყოფები ხშირად ნეგატიურად აფასებენ.

***შეჯამებისთვის კი შეგვიძლია ვთქვათ, რომ თვითუუნარობას შეუძლია დაიცვას ჩვენი თვითშეფასება, თუმცა ეს ძვირად დაგვიჯდება.***

ერეკლე ჩერქეზიშვილი

# ყველაფერი გვაძლიერებს, რაც არ გვკლავს?

> **„რაც არ გვკლავს, ის გვაძლიერებს.“**
> ფრიდრიხ ნიცშე
> **თავი ოცდამესამე**

***ადამიანი არა მხოლოდ გარეშემყოფებთან და სხვა ადამიანებთან არის რეგულარული ურთიერთობისა და კომუნიკაციის პროცესში, არამედ საკუთარ თავთანაც საკმაოდ ხშირად ურთიერთობს . კვლევებმა აჩვენეს, რომ საშუალოდ ადამიანი დღეში 50 000-ჯერ შედის ურთიერთობაში საკუთარ თავთან. ამავე დროს ამ თვით-საუბრის 80% ნეგატიური აზრებითაა სავსე. „ამას ვერ შევძლებ“, „რა ცუდად გამომივიდა“, „ ეს არ უნდა მექნა“, „არაფერი არ გამომივა“, „ცუდადაა საქმეები“ და სხვა ამდაგვარი აზრები ვირუსებივით შეიჭრებიან ადამიანის ტვინში და არ აძლევენ მას მოსვენებას.***

ნეგატიური აზრები დიდ ზეგავლენას ახდენენ ჩვენს სხეულსა და სულზე, ჩვენს ფიზიოლოგიაზე ან ქცევის მოტივაციაზე. ისინი კონტროლის ქვეშ მოიქცევენ არა მხოლოდ ქცევას, არამედ სხეულის ამა თუ იმ რეაქციებს. ნეგატიური აზრები ორგანიზმის უჯრედოვან დონეზეც კი ზემოქმედებენ. ისინი იწვევენ გულის აჩქარებას, არტერიული წნევის აწევას, ენის წაბორძიკებას, სუნთქვის რიტმის შეცვლას, შიშისა და აღელვების რეაქციებს, ოფლდენას, ქცევის პარალიზებას და უკიდურეს შემთხვევაში სიკვდილსაც კი. ყველამ ვიცით,რომ ჩვენს სიტყვებს შეუძლიათ ადამიანებზე დიდი გავლენა იქონიონ. თუმცა, სამწუხაროდ ამ შესაძლებლობას ხშირად არასწორად ვიყენებთ. როდესაც ვხედავთ ჩვენთვის ახლო ადამიანს, რომელსაც ცხოვრებაში რთული პერიოდი აქვს, ინსტინქტურად ვცდილობთ მათ გამხნევებას ისეთი ცარიელი ფრაზებით, როგორიცაა: “არაუშავს” ან “ყველაფერი კარგად იქნება”, „ყველაფერი გვაძლიერებს, რაც არ გვკლავს“ და გარდა იმისა, რომ შეიძლება სულაც ვტყუოდეთ, ვერც იმას ვხვდებით, რომ ამითი კი არ ვეხმარებით მათ, არამედ კიდევ უფრო ვუმძიმებთ ხოლმე მდგომარეობას. უნდა შევეგუოთ იმ აზრს, რომ ზოგი რამ უბრალოდ არ სწორდება ან არ უკეთესდება. არც ყველა ჭრილობა შუშდება. არის რაღაც, რაც მთელი ცხოვრების განმავლობაში ტვირთად გვექნება სატარებელი.

ამის მაგივრად კი კვლავ გვესმის ცარიელი ფრაზები: **გტკივა?-გაუძელი, ტირი?- თავი შეიკავე. ვფიქრობთ, რომ რაც არ გვკლავს, ის გვაძლიერებს. მაგრამ ასეთი დამოკიდებულება გვაიძულებს ჩავიკლათ გულში ის, რაც გულიდან უნდა ამოვიღოთ. კულტურა გვაიძულებს დავმალოთ ემოციები, რის გამოც ხშირად საკუთარ თავში ვიკეტებით, რაც უხმო ტკივილს კიდევ უფრო აძლიერებს. გავრცელებული მითის მიხედვით, დარდს სასოწარკვეთილებამდე მივყავართ, არადა სინამდვილეში სასოწარკვეთილებამდე მუნჯი ტკივილი გვაცილებს.** “თავის შეკავებით” ჩვენ საკუთარ თავს ადამიანობის უფლებას ვართმევთ — უფლებას, რომ გამოვხატოთ გრძნობები.

***„რაც არ გვკლავს, ის გვაძლიერებს“*** -ეს მხოლოდ ლამაზი სიტყვებია. ყველაფერი, რაც უცბად არ გვკლავს, გვკლავს ნელა, შეუმჩნევლად. წვეთწვეთობით კლავს ჩვენს სიკეთეს და ნდობას,სინაზეს და გულწრფელობას, გულუხვობას, გულღიობას, სიყვარულს, სიკეთეს, ურთიერთპატივისცემას, იმედს, ადამიანობას. ეს ის ტკივილია, რომელიც არ გვაძლევს საშუალებას ძველებურად ვიცხოვროთ, იცვლება ყველაფერი. ***სულში კვდება პატარა ანგელოზი, რომელიც ჩვენი სულის განუყოფელი ნაწილი იყო, სამაგიეროდ უკვე იცი, რომ პასუხი უნდა დააბრუნო, თავის დაცვა უნდა შეძლო და შეიძლება ძლიერიც ხდები, მაგრამ ბევრი კარგი თვისების დაკარგვის ხარჯზე. ნუთუ ეს იგულისხმება სიტყვაში „გვაძლიერებს“? გვინდა კი ასეთი სიძლიერე?***

ყველაფერი ბავშვობიდან იწყება. ჯერ კიდევ პატარა ასაკში შეიძლება დავდგეთ იმ რეალობის წინაშე , რომ რასაც გვეუბნებიან და გვმოძღვრავენ, ბევრი რამ შეიძლება ტყუილი აღმოჩნდეს. ვხვდებით, რომ რეალური სამყარო სულ სხვანაირია. სიკეთე უმეტეს წილად სასაცილო ხდება, გამოჩენილი გულმოწყალება და სიბრალული აგრესიის საწინდარი, გულახდილობა- ბევრი უსიამოვნების მომტანი, სიყვარულის გამოხატვა- სისუსტე, სიმართლის თქმა-ადამიანების გაბოროტების და მტრად გადაკიდების საფუძველი და ასე დაუსრულებლად. ძნელია არ გაბოროტდე, არ დაიცალო გრძნობებისგან და დარჩე ადამიანად არა? სწავლობ საზოგადოებაზე მორგებულ აზროვნებასა და ქცევის წესებს, რომ გადარჩენა და ფიზიკური არსებობა შეძლო, მაგრამ ...



მაშ, რას შეუძლია ტკივილის გაქრობა? არაფერს, სამწუხაროდ არაფერს. ერთადერთი, რასაც ტკივილის შემსუბუქება შეუძლია, ეს არის გარშემომყოფების სიყვარული. ეს სიყვარული ჩანს არა გამამხნევებელ ფრაზებში, არამედ მაშინ, როდესაც ჩვენთან ერთად ტირიან, ჩვენთან ერთად სტკივათ და, რაც მთავარია,ჩვენთან ერთად გლოვობენ.

საზოგადოების დიდი ნაწილი დარდს უყურებს, როგორც პრობლემას. მაგრამ დარდი ემოციური ჭრილობის მოშუშებისთვის აუცილებელი პროცესია. ამიტომ, თუ გვინდა მწუხარე მეგობარს ან ახლო ადამიანს დაეხმაროთ, უბრალოდ დაუდექით გვერდში, მაშინაც კი, თუ თავს არაკომფორტულად გრძნობთ. აგრძნობინეთ მათ, რომ მათთან ხართ და მართლაც იყავით იქ, თუნდაც ჩუმად, თუნდაც გაუნძრევლად, უბრალოდ იყავით...

**მოამზადე**
ხათუნა ბენაშვილმა

# ქრონიკულად დაავადებული მოწყვლადი ჯგუფის წევრები მედიკამენტებს 1 ლარად შეიძენენ

ქრონიკული დაავადებების სამკურნალო მედიკამენტების პროგრამაში შედის ცვლილება, არსებული დიფერენცირება იხსნება, რის შედეგადაც, სოციალურად დაუცველებს, შშმ პირებს, პენსიონრებს და სხვა ჯგუფებსაც შესაძლებლობა ექნებათ წამლები შეიძინონ 1 ლარად. ამის შესახებ საქართველოს პრემიერ-მინისტრმა მამუკა ბახტაძემ ბრიფინგზე განაცხადა.

„საუბარია 35 დასახელების მედიკამენტზე, რომელიც ძირითადად მოიხმარება 6 ქრონიკული დაავადებისას, კერძოდ: გულსისხლძარღვთა დაავადებების, ფარისებრი ჯირკვლის, ფილტვის, დიაბეტის, ეპილეფსიისა და პარკინსონის დაავადებისთვის. საზოგადოებას ვპირდები, გავაგრძელებთ ძალიან აქტიურ მუშაობას იმისთვის, რომ ჩვენი შეჭირვებული მოქალაქეების ჯიბიდან გადახდილი ხარჯები მედიკამენტებისთვის იყოს მინიმალური და ამას ჩვენ აუცილებლად გავაკეთებთ“, — განაცხადა მამუკა ბახტაძემ.




# რამდენ ადამიანს აქვს საქართველოში მართვის მოწმობა და რამდენია აქედან ქალი მძღოლი

საინვესტიციო კომპანია Galt & Taggart-ის კვლევის თანახმად, სამომავლოდ, ავტომობილებზე მოთხოვნის ზრდა ჩვენს ქვეყანაში ქალი მძღოლების რაოდენობასაც გაზრდის, თანდათან განახლდება ავტოპარკი და გაიზრდება საყოფაცხოვრებო შემოსავალი.

მიუხედავად იმისა, რომ საქართველოში ქალი მძღოლების რაოდენობა იზრდება, იმ 1.23 მილიონი ადამიანიდან, ვისაც ქვეყანაში მართვის მოწმობა აქვს, მხოლოდ 23%-ია ქალი.

გარდა ამისა, Galt & Taggart-ის მოსაზრებით, ავტმობილების სავალდებულო ტექნიკური ინსპექტირება მძღოლებს უბიძგებს, რომ შედარებით ახალ ავტომობილებზე გადასხდნენ. მათივე ინფორმაციით, საქართველოში რეგისტრირებული ავტომობილების 81.4% 12 წელზე მეტი ასაკისაა.

„სავალდებულო ტექნიკური დათვალიერება ავტონაწილებზე მოთხოვნასაც გაზრდის, ასევე გაიზრდება ავტოსერვისებისთვის მიმართვიანობაც. ამ ყველაფერთან ერთად, რეექსპორტზე მაღალი მოთხოვნა, მომავალ წლებში ავტობიზნესის შემოსავალს გაზრდის“, - ნათქვამია კვლევაში.




## გამოსათხოვარი

### მარიამ (მანო) ისაიაშვილი



დედოფლისწყაროს ინტელიგენციას, პედაგოგიურ საზოგადოებას კიდევ ერთი ღირსეული ქალბატონი გამოაკლდა. ხანგრძლივი ცხოვრება ერგო წილად მანო ისაიაშვილს- 28 აგვისტოს ის 97 წლის გახდებოდა. მანო ისაიაშვილი ის ეტალონი პედაგოგი გახლდათ, რომელმაც თავისი კვალი დატოვა მრავალი თაობის აღზრდის საქმეში. გამორჩეულად ძლიერი მათემატიკოსის აღზრდილი არაერთი წარმატებული პედაგოგი დღესაც ემსახურება ჩვენი ახალგაზრდობის განვითარებას. ნახევარ საუკუნეზე მეტი გაატარა მან ქალაქ დედოფლისწყაროს №1 სკოლაში. ენერგიული, საქმის ერთგული, პრინციპული და მომთხოვნი იყო ის მოსწავლეების მიმართ, მაგრამ ყველას ძალიან უყვარდა მისი სამართლიანი დამოკიდებულების გამო. სწორედ მასზე უთქვამს პოეტს: „მასწავლებელი ზოგჯერ უშვილოა, მაგრამ ათასი (მრავალი) ბავშვის მშობელიო“. საკუთარი ოჯახი არ შეუქმნია, თუმცა მშობლიური სიყვარულით გამთბარი ბევრი მოსწავლის გულში დაიდო ბინა. მთელი რაიონისთვის მანო მასწავლებელი, შესანიშნავ სპეციალისტთან ერთად, იყო სიწმინდის და პატიოსნების საზომი. ყველას უყვარდა პედაგოგიურ კოლექტივში და გამორჩეულად სცემდნენ პატივს.

წავიდა ჩვენგან ნათელი ადამიანი, რომლის ხსოვნაც დიდხანს დარჩება მისი კოლეგების, მისი აღზრდილების და ახლობლების გულებში. გემშვიდობებით, მანო მასწავლებელო, სასუფეველი დაგიმკვიდროს უფალმა.

ქ. დედოფლისწყაროს №1 საჯარო სკოლის ადმინისტრაცია და პედაგოგიური კოლექტივი.

## ხსოვნა

### ავთანდილ ალუღიშვილი



მიმდინარე წლის 14 ივლისს გახდებოდა 30 წელი, რაც უეცარი და ულმობელი სიკვდილით 57 წლის ასაკში დაგვტოვე და წახვედი. ჩვენთვის აუხსნელი და თავზარდამცემი იყო შენი სიკვდილი, ჩვენო დიდო ტკივილო. ჩვენთვის მარად დაუვიწყარო, მხნევ, ოჯახის ერთგულო და ყველას ჭკუაზე დამრიგებელო, ომახიანო ადამიანო. სიკვდილს ებრძოდი და ცოლ-შვილი მეღუპებაო,-იმას სჩიოდი. ჩვენთვის ძვირფასო მეუღლევ, მამავ, პაპავ, მამამთილო და სიმამრო, ყველა ახლა პაპობით გიხსენებთ. დავაჟკაცდნენ შენი შვილები, შვილიშვილები, უკვე კარგი ოჯახები შექმნეს. კარგი შვილები დაზარდეს. ახლა ჩვენ სამი შვილი, რვა შვილიშვილი და თექვსმეტი შვილთაშვილი გვყავს, რომლებიც ხშირად გიგონებენ და შენს შესანდობარს სიყვარულით სვამენ. მოდიან შენს საფლავზე, სანთელს გინთებენ და მე მჯერა, მერეც ასე იქნება, მას შემდეგ, რაც მეც დავტოვებ ამქვეყნიურ სამყოფელს. ნათელში იყოს შენი სული, ღმერთმა დაგიმკვიდროს სასუფეველი.

ნორა ბაღაშვილი.

## მონატრება

### ომარ ყაჭაშვილი



ჩვენი თანაცხოვრების 50 წლიანი უღელი შენ დაამსხვრიე, წახვედი და ტკივილი და დარდი დამიტოვე. ნახევარი საუკუნე გავატარეთ ერთად, დალხინებაც და გაჭირვებაც ერთად გადავიტანეთ, ჩვენი თავდადებული შრომით მოვიყვანეთ ოჯახი აქამდე, ორი ვაჟკაცი გავზარდეთ, ორივე –ფრიდონიც და პაატაც, დავაბინავეთ, კარგი რძლები შეგვხვდა, შვილიშვილების დაბადებით გამოწვეული სიხარულიც ერთად ვიზეიმეთ.უფროსმა შვილიშვილმა - გიორგიმ თხოვნა აგისრულა: ცოლი მოიყვანე და დამანახეო, რძალს კი მოესწარი, მაგრამ მალე შვილთაშვილი შეგვეძინება, შენ კი ვერ გაიგებ, რომ შენს ჯიშს ერთი ვაჟკაცი კიდევ შეემატება. როგორ გაიხარე, როცა ხატია სტუდენტი გახდა. ცოტნეც კარგად სწავლობს, ნიჭიერია, იმედია ისიც გახდება სტუდენტი, მაგრამ შენ ვეღარ იამაყებ მისი წარმატებით.

რთული იყო შენი ცხოვრების ბოლო ათწლეული. ჯერ თვალის ჩინმა გიმტყუნა და ერთად ვიბრძოდით, რომ გაგვეხანგრძლივებინა პროცესი, შემდეგ კი უკურნებელ სენს ვერკინებოდით მთელი წელი, მაგრამ გვაჯობა ვერაგმა დაავადებამ, 2019 წლის ნოემბერში დატოვე ეს ქვეყანა და იმ საუფლოში გადაინაცვლე. ძნელია მარტოობა, უშენობით გამოწვეული სევდა სულ თან დამდევს. მიუხდავად იმისა, მთელი ოჯახი ვალმოხდილია შენს წინაშე- არ მოგკლებია ყურადღება, წამალი და ექიმი, მაინც უკმარისობის გრძნობა არ მტოვებს, მერჩივნა, შენთვის მომევლო, ოღონდ გეცოცხლა, მაგრამ განგებამ ასე არ ინება. გასულ წელს, ამ დროს, უკვე დაუძლურებულს და თითქმის ლოგინს მიჯაჭვულს მოგილოცეთ დაბადების საიუბილეო 75 წლისთავი, წელს კი, 23 ივლისს, უშენოდ აღვნიშნავთ 76-ე წლისთავს, მთელი ოჯახი მოვალთ შენს საფლავზე, თავს წავუქცევთ ჭიქა ღვინოს და მოგიგონებთ, როგორც, ერთ წესიერ, პატიოსან, მშრომელ ადამიანს, მოსიყვარულე მეუღლეს, მამას და პაპას. ოთხი დედმამიშვილიდან სამი ძმა უკვე მარადიულ სასუფეველში გადასახლდით; სულ დარდობდი, ორი ახალგაზრდა, სტუდენტი ძმა დავკარგე ტრაგიკული შემთხვევის გამოო, ახლა სამივე ერთად ხართ და აქ დარჩენილი ერთადერთი დის მიერ დანთებული სანთელი სასუფეველს გინათებთ. უფალმა ნათელი დაგიმკვიდროს.

მეუღლე თამარ ყანდაშვილი.

---



მამიდაშვილები: ლიანა მაჩიტაძე და ნუნუ ჭრელაშვილი, ბიძაშვილები ლამარა და ნანა ჭიჭინაძეები ოჯახებით ღრმა მწუხარებას გამოხატავენ და თანაუგრძნობენ მარინა და ლალი ნატროშვილებს ძვირფასი მამის, ტექნიკურ მეცნიერებათა დოქტორის

ანზორ ალექსანდრეს ძე ნატროშვილის

გარდაცვალების გამო. დაიკრძალა მოსკოვში, შაბათს, 6 ივლისს.

---

ნაირა გორაშვილი, ზურა და მაგდა პოპიაშვილები ოჯახებით თანაგრძნობას უცხადებენ მანანა გოგაშვილს მეუღლის, სონა და მაკა ლაპიაშვილებს მამის

სპარტაკ ლაპიაშვილის

გარდაცვალების გამო.

---

ყოფილი მოსწავლეები: ევტიხი მაჭავარიანი, რეზო ალუღიშვილი, მიხეილ ღვინიაშვილი, თემზარ ზურიკაშვილი, გურამი და გიგლა ჯანიაშვილები, თემური და თამაზ ჯიბლაშვილები, გია პოპიაშვილი, მაია და დიმა ტოკლიკიშვილები, გელა გველუკაშვილი, თემური და პალიკო თავაძეები, ნუნუკა ბიკაშვილი, ნანა ბიჭიკოს ასული ლაპიაშვილი, კოლია ხარხელაური და ყველა მისი აღზრდილის სახელით იუწყებიან საყვარელი პედაგოგის

მარიამ (მანო) ისაიაშვილის

გარდაცვალებას და თანაგრძნობას უცხადებენ მის ახლობლებს.

---

მეუღლე მანანა გოგაშვილი, შვილები: სონა, მაკა ლაპიაშვილები, სიძეები: ილიკო ზედელაშვილი, თემურ ბაღაშვილი, შვილიშვილები: გიორგი და სანდრო გიგაურები, თაკო და ლუკა ბაღაშვილები, ძმა ნუგზარი, რძლები: სვეტა, ნაზი ოჯახებით იუწყებიან

სპარტაკ ლაპიაშვილის

გარდაგვალებას. დაიკრძალა 4 ივლისს, ქ. დედოფლისწყაროში.

---

ქ.წითელწყაროს ქართული საშუალო სკოლის 1958-59 სასწავლო წლის X-ბ კლასის კურსდამთავრებულები: ნაზი მოსაშვილი, ნანა ბერულაშვილი, როენა ბოსტოლანაშვილი, ნანი გონაშვილი, ჯემალ მაძღარაშვილი, მერაბ რობიტაშვილი იუწყებიან კლასის ხელმძღვანელის

მარიამ (მანო) ისაიაშვილის

გარდაცვალებას.

---

ლია, ნანა შანშიაშვილები, თინიკო, თამრიკო, ნატა თანდილაშვილები, ირინა გვრიტიშვილი, ქეთინო და დათო შანშაშვილები ოჯახებით იუწყებიან დეიდაშვილის

ჯემალ ჯანიბეგაშვილის

გარდაცვალებას და თანაგრძნობას უცხადებენ მეუღლეს -დოდო ლეკაშვილს. დაიკრძალა11 ივლისს ქ.თბილისში.

---

ბიძაშვილები: ავთანდილი, ციცინო, ნათელა, ლეილა ლეკაშვილები, მამიდაშვილები: ელიზა, ნანა კოჭლამაზაშვილები, ბადრი და მამუკა ბერიკელაშვილები თანაგრძნობას უცხადებენ დოდო ლეკაშვილს მეუღლის

ჯემალ ჯანიბეგაშვილის

გარდაცვალების გამო.

---

ქ. დედოფლისწყაროს ევდოშვილის ქუჩის მაცხოვრებლები ღრმა მწუხარებით იუწყებიან „TU- 154“ ხომალდის მეთაურის, I კლასის მფრინავის, საავიაციო ძალების მაიორის

ჯემალ ჯანიბეგაშვილის

გარდაცვალებას და თანაგრძნობას უცხადებენ მის მეუღლეს დოდო ლეკაშვილს და მის ახლობლებს.

# საზაფხულო ბანაკი მოსწავლეთა იდეებით...

„ხარ 10-15 წლის?
მაშინ, შანსი გექნება, გაატარო ხუთიდღე ბანაკში, რომელიც გაიმართება დედოფლისწყაროს პირველი საჯარო სკოლის ტერიტორიაზე;
– 15-20 ივლისს
-10:00 – 16:00
თქვენ გელოდებათ თამაშები, შეჯიბრებები, ტრენინგები, სემინარები და სხვადასხვა აქტივობები,
და ეს ყველაფერი, სრულიად უფასოდ.“

ეს სიტყვები რამოდენიმე დღის წინ ამოვიკითხე დედოფლისწყაროს ახალგაზრდობის ცენტრის „იბერიას“ გვერდზე და იმ წუთში პირველი რეაქცია რაც მქონდა, შვილებს შევთავაზე, აღნიშნულ ბანაკში დარეგისტრირებულიყვნენ. მიუხედავად იმისა, რომ მათ სხვა საზაფხულო აქტივობების გამო ამ ბანაკში მონაწილეობა ვერ მიიღეს, მაინც მოხარული ვარ, რომ რამოდენიმე წლის წინ შეჩერებული ტრადიცია აღდგა და ჩვენს ახალგაზრდებს საშუალება მიეცათ, ზაფხულის არდადეგების 5 დღე ასე შინაარსიანად, მხიარულად და სოციალური აქტივოებებით დატვირთულებს გაეტარებინათ.

14 თებერვალს დედოფლისწყაროს სპორტისა და ახალგაზრდული ცენტრის ბაზაზე ახალგაზრდობის ცენტრი ''იბერია '' გაიხსნა . ეს არის ადგილი, სადაც ახალგაზრდებს აქვთ შეხვედრების, აზრების ურთიერთგაცვლის, ახალი იდეების დაბადების და განხორციელების საშუალება. იმისათვის რომ, მათ ჩამოუყალიბდეთ გუნდურობის, ერთიანობის, განსხვავებული აზრის პატივისცემის, თავიანთი სურვილების წარმოჩენის და დასახული მიზნების მიღწევის უნარ-ჩვევები. კლუბი თანამშრომლობს ახალგაზრდობის სფეროში მომუშავე ყველა ორგანიზაციასთან და კერძო პირთან. კლუბი ახალგაზრდებს სთავაზობს საინტერესო ფილმებს, შეხვედრას საინტერესო და ცნობილ ადამიანებთან, ფსიქოლოგებთან, სოციოლოგებთან. ეწყობა საჯარო დისკუსიები მათთვის საინტერესო თემებზე. ცენტრი აწყობს გამოფენებსა და პრეზენტაციებს ნიჭიერი ახალგაზრდების საზოგადოებისათვის გაცნობის მიზნით .

მალევე ახალგაზრდობის ცენტრში -''იბერია'' დაფუძნდა უფროსკლასელთა ლიგა, რომელიც გულისხმობს დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის ყველა საჯარო სკოლის უფროსკლასელთა გაერთიანებას-ერთ გუნდად შეკვრას. ახალგაზრდების იდეების, პრობლემების და ინიციატივების წინა პლანზე წამოწევისა, მათი გადაჭრისა და განხორციელების მიზნით. ''უფროსკლასელთა ლიგა'' თავისი საქმიანობის ფარგლებში- -ხელს უწყობს მოსწავლეთა სოციალურ, ფსიქოლოგიურ და ინტელექტუალურ განვითარებას. - ზრდის მოსწავლეთა ჩართულობას სამოქალაქო აქტივობაში. - ხელს უწყობს მოსწავლეებში ორგანიზაციული უნარების ჩამოყალიბებას და განვითარებას. - მოსწავლეებს აძლევს თვითრეალიზაციის საშუალებას.

აპრილის თვეში „იბერიაში' ჩატარდა ესსეების კონკურსი, რომლის მიზანი იყო შემოქმედებითი უნარ- ჩვევების მქონე ახალგაზრდების წარმოჩენა, მათი წახალისება და ინტელექტუალური ზრდა-განვითარება. საპრიზო ადგილებზე გასული ახალგაზრდები 27 მაისს დაჯილდოვდნენ სიგელებით და ფასიანი საჩუქრებით.

22 აპრილი- - დედამიწის დღე, ელიის მიმდებარე ტერიტორიის დასუფთავების აქციით აღინიშნა. აქციაში მონაწილეობდნენ ახალგაზრდობის ცენტრის-"იბერია" წევრები, მერიისა და არასამთავრობო ორგანიზაციების თანამშრომლები და მუნიციპალიტეტის საჯარო სკოლების მოსწავლეები.

ცენტრ"იბერიას" მიერ მოეწყო წიგნის ჩუქების დღე ქ.დედოფლისწყაროს №2 და სოფელ სამრეკლოს საჯარო სკოლებში.

9 მაისთან დაკავშირებით, სოფელ არბოშიკის, ზემო მაჩხაანის, სამრეკლოს და გამარჯვების საჯარო სკოლის მოსწავლეებმა, შინმოუსვლელთა მემორიალების მიმდებარე ტერიტორიები დაასუფთავეს..

მაისის თვეშივე დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის ახალგაზრდობის ცენტრმა „იბერიამ“ გამოაცხადა ფოტოკონკურსი თემაზე: „დარაბებს მიღმა-- ჩემი სოფელი“.

ბავშვთა დაცვის დღესთან დაკავშირებით, მორიგი აქტივობა დაგეგმეს უფროსკლასელთა ლიგის წევრებმა. დედოფლისწყაროს ცენტრალურ სტადიონზე ჩატარდა შეჯიბრი საშუალო და შორ მანძილზე რბენაში. გამარჯვებულები სიგელებით და მედლებით სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა ცენტრის დირექტორმა-აკაკი ნატროშვილმა დააჯილდოვა.

10 მაისს, ახალგაზრდობის ცენტრში „იბერია“ მუნიციპალიტეტის მერმა- ნიკოლოზ ჯანიაშვილმა წარმატებული ახალგაზრდები დააჯილდოვა. „დამოუკიდებელ ბავშვთა და სტუდენტთა გაერთიანების“ მიერ გამოცხადებულ კონკურსში- „გაიცანი ევროპა და განავითარე შენი რაიონი, ქალაქი“ მუნიციპალიტეტის 15-მა ახალგაზრდამ მიიღო მონაწილეობა. სპეციალური ჟიურის მიერ გამოვლინდა 6 გამარჯვებული:

თეკლა ჯიბღაშვილი, ლიკა ჯანაშვილი, ჯაბა ჯამასპიშვილი, გიორგი ზუბიაშვილი, ნინო ცისკარაული, ირმა მკლავაშვილი, რომლებიც დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის მერიის თანადაფინანსებით გაემგზავრნენ თურქეთში- კაბადოკიაში, სადაც გაიმართა"საქართველოს დღეები". გამარჯვებულებს სამახსოვრო მაისურები „ENPARD-2'-ის წარმომადგენლებმა გადასცეს.

ეს იმ განხორციელებულ საქმეთა ჩამონათვალი შევახსენეთ მკითხველს, რომელიც ახალგაზრდულმა ცენტრმა დაარსების დღიდან დღემდე განახორციელა ცენტრის ხელმძღვანელის- ქალბატონ ლელა ბიღიაშვილის თაოსნობით. ზემოთაღნიშნული ხუთდღიანი ბანაკიც მისი იდეით განხორციელდა. ქ-ნი ლელა ჩვენთან საუბარში აღნიშნავს, რომ ძალიან კმაყოფილია მოსწავლეთა საზაფხულო ბანაკის განახლებით, რომელიც წლების წინ აქტიურად ფუნქციონირებდა ზაფხულობით საჯარო სკოლების ბაზაზე. ახლაც 150-მდე მოსწავლე ირიცხება სხვადასხვა სოფლების მონაწილეობით, ბავშვები ძალიან აქტიურად არიან ჩართულები თითოეულ აქტივობაში, ტარდება ტრენინგები, ექვს ჯგუფად დაყოფილ ბანაკს 15 ლიდერი მოსწავლე მეთაურობს, სკოლის პირველ და მესამე სართულზე ბავშვები განთავსებულნი არიან ჯგუფების მიხედვით, ყოველი დილა იწყება გამამხნევებელი ვარჯიშებით, ყოველ დღე ბავშვებს უტარდებათ ტრენინგები სხვადასხვა თემებზე, პროექტის ფარგლებში მოეწყო მხიარული სტარტები, ჩატარდა 'რა, სად, როდის" და რაც მთავარია, ეს ყველაფერი მიმდინარეობს ძალიან მხიარული და ბედნიერი განწყობის ფონზე, დიდი მადლობა სკოლის დირექტორს- ქალბატონ ეთერ ოთარაშვილს, რომელიც ყურადღებას არ გვაკლებს და მზადყოფნას გვიცხადებს ნებისმიერ საკითხში- დასძენს ქალბატონი ლელა და იმედს გამოთქვამს, რომ სამომავლოდ უფრო ფართომასშტაბიან პროექტს განახორციელებს , სადაც დაფინანსებაც ექნებათ და მეტი რესურსი სხვადასხვა მიმართულებით.

19 ივლისს 18 საათზე მოხდა ბანაკის გრანდიოზული დახურვა, რომელსაც ესწრებოდნენ დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის საგანმანათლებლო რესურცენტრის უფროსი ეთერ ზურიკაშვილი, მუნიციპალიტეტის მერიის წარმომადგენლები და სხვა მოწვეული სტუმრები. დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის მერმა ბავშვებს მადლობა გადაუხადა საზაფხულო ბანაკში აქტიური მონაწილეობისათვის და ნაყინებითა და წვენებით გაუმასპინძლდა მათ.





**მოამზადა**
ელზა ხარაშვილმა


## ი ყ ი დ ე ბ ა !

იყიდება საჯარო რეესტრის მაღლა II სართულზე სამოთახიანი (გადაკეთებულია ოთხოთახიანად) სუფთა ბინა მუხის პარკეტით და შეცვლილი კარ-ფანჯრებით. გვერდით ერთოთახიანის ყიდვის პერსპექტივით. ფასი შეთანხმებით. დაწვრილებითი ინფორმაციისთვის დარეკეთ
☎ 591092478

იყიდება ოროთახიანი ბინა ლოჯიით მისამართზე – რუსთაველის ქუჩა №4, კორპუსი 31, ბინა 9, მეორე სართული. ბენზინგასამართ სადგურ „სოკარი“-ს წინ.
☎ 555 23 26 80, იკითხეთ ეკა.

იყიდება კერძო, ორსართულიანი, კაპიტალური ბინა 922 კვმ. ბუნებრივი აირით, წყლით, უზრუნველყოფილია ინტერნეტით. მისამართი: ქ. დედოფლისწყარო, გურამიშვილის ქ № 17. დაგვიკავშირდით:
☎ 555 15 46 46


## მ ა დ ლ ი ე რ ე ბ ა !

დაახლოებით რამდენიმე კვირის წინ, სამსახურებრივი მოვალეობის შესრულების დროს, თავი შეუძლოდ ვიგრძენი. დახმარებისთვის მივმართე შპს „სალბუნი-ფარმას“ აფთიაქს. ფარმაცევტებმა, მყისიერად გამიწიეს პირველადი დახმარება - გამიზომეს წნევა და დამალევინეს წამლები, რამაც ჩემი მდგომარეობის საგრძნობი გაუმჯობესება გამოიწვია. წამოსვლის შემდეგაც, გადამოწმების მიზნით, კიდევ გამიწიეს დახმარება და წნევა გამიკონტროლეს. გაწეული უანგარო დახმარების, გულისხმიერების, ზრუნვისა და ყურადღებისათვის განსაკუთრებული მადლობა მინდა გადავუხადო შპს „სალბუნი - ფარმას“ ფარმაცევტებს: ირმა ბეგიაშვილსა და თეა ბოსტაშვილს. მინდა, წარმატება და წინსვლა ვუსურვო მათ პროფესიულ საქმიანობაში.



**პატივისცემით,**
**ომისა და სამხედრო ძალების ვეტერანი, დაცვის პოლიციის უმცროსი ინსპექტორი**
დავით გოგიშვილი

## ა მ ი ნ დ ი — დ ე დ ო ფ ლ ი ს წ ყ ა რ ო

| | ორშაბათი 22.07 | სამშაბათი 23.07 | ოთხშაბათი 24.07 | ხუთშაბათი 25.07 | პარასკევი 26.07 | შაბათი 27.07 | კვირა 28.07 |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| დღე | 28 ° | 27 ° | 26 ° | 27 ° | 26 ° | 23 ° | 22 ° |
| ღამე | 27 ° | 26 ° | 25 ° | 26 ° | 22 ° | 22 ° | 21 ° |


გამომცემელი შპს „შირაქი“
დირექტორი ინგა შიოლაშვილი
რედაქტორი ნაირა გორაშვილი-პოპიაშვილი
წერილში მოყვანილ ფაქტებსა და ციფრებზე პასუხს აგებს ავტორი.

სარედაქციო კოლეგია: ჟუჟუნა ყანჩაშვილი (ჟურნალისტი); ელზა ხარაშვილი (სტილისტ-მენეჯერი); ნათელა ბოსტაშვილი (ბუღალტერი); ნიაზი ჯანაშვილი (ოფის-მენეჯერი); მზია ქენქაძე (დისტრიბუტორი); ზურაბ ბუწაშვილი (კომპიუტერული უზრუნველყოფა).
გაზეთი აიწყო და დაკაბადონდა „შირაქის“ კომპიუტერულ ბაზაზე.
ყოველკვირეული გამოცემა იბეჭდება შ.პ.ს „კოლორ პრესის“ სტამბაში.

რედაქციის მისამართია: ქალაქი დედოფლისწყარო, ფიროსმანის №18, ტელ. 0 356 22 55-49; 598 72-18-72 (დირექტორი) 591-97-73-26 (რედაქტორი)

რეგისტრირებულია დედოფლისწყაროს რაიონის სასამართლოს მიერ, №6014-468.